

ქართული გზები



საქართველოს
მედიკალთა
კავშირის
გაზეთი
№3 (246)
1-31 მარტი
2016
ფასი 1 ლარი

გამოცემის
თავები ორჯერ

მურმან თავდიშვილი

(რევაზ მიშველაძის ახალი რომანის
ბავშვ)

რევაზ მიშველაძემ თავისი მეორე რომანი გა-
მოაქვეყნა.

როგორც ნებისმიერი მისი ნაწერი, ეს თხზულებ-
ააც ინტერესით იკითხება.

მაგრამ ინტერესი ორგვარია: დამლელი და
დამინტრიგებელ-ნამახალისებელი. ინტერესი
ჯერ კიდევ სათაურშივე იღებს სათავეს. ამბის
განვითარებისდა კვალობაზე მას ეძლევა ორმაგი
გააზრება: ცენტრალური პერსონაჟი, ამა ქვეყნის

მოექცევა ჰომეროსის, რუსთველის, მიხ. ჯავახიშ-
ვილის ქმნილებანი; მეორე ბანაკს კი შეავსებენ
ფირდოუსის, ნიზამის, კ. გამსახურდიას რომანე-
ბი, დ. შენგელიას „გურამ ბარამანდია“ და „სანა-
ვარდო“...

რუსთველი თავისი წინამორბედებისა და სუ-
ლიერი წინაპრების ფირდოუსისა და ნიზამისაგან
სწორედ ერთადერთი რამით განსხვავდება. არა
ხატვის სტილით, მანერით, ცალკეულ სახე-ხატ-
თა და აფორიზმთა ჩამოქნის წესით, არცთუ პო-
ეტიკური ტექნიკის ნიუანსების მომარჯვებით,
არამედ დანტე ალიგიერის პროფილივით მკაცრი
კომპოზიციით. „ვეფხისტყაოსანში“ ისე ზუსტად
არის გამოთვლილი ყველაფერი, პროპორციები
სანტიმეტრობითა და მილიმეტრობით ისეა შეხა-

მებულ-შეტოლებული, თითქოსდა ამ უმკაცრესი
სიზუსტის აღსრულებაში ავტორს მიქელანჯელო
და კუპლერი ნახმარებიანო. ამ თვალსაზრისით,
ძალიან კარგი შესაძარებელი არიან ერთ ეპოქა-
ში მოღვაწე ნიზამი და რუსთველი. ნიზამის თვით
ყველაზე მკაცრსიუჟეტიანი „ლეილი და მაჯნუ-
ნიც“ კი ბევრად უფრო ამორფული და ყვავილო-
ვანია, ვიდრე – „ვეფხისტყაოსანი“.

სახელოვანი ნოველისტის ახალი რომანი სწო-
რედ ამ მეორე ტიპისა გახლავთ (სხვათა შორის,
სწორედ ისე, როგორც პირველი). აქ აქცენტირე-
ბულია არა იმდენად კომპოზიციური ამბავი-ლერ-
დი, არამედ ცალკეულ დეტალთა ზედმიწევნით
მხატვრული დამუშავება. ეს მოსალოდნელიც
იყო, რადგან ჩვენი ავტორი ათეული წლობით


კრიტიკა „მესამე პირისათვის“

მოქალაქე, ბორბალში მოქცეული ციყვია,
რომელსაც მოჯადოებული ცხოვრებისეული
წრიდან გამოძრომა და სწორ გზაზე დადგო-
მა არ ძალუძს; განზოგადების მეორე, შემდ-
გომი, ტალღის შემდეგ კი სათაურს „ციყვი
ბორბალში“ უფრო მაღალი ალუზიური მნიშ-
ვნელობა ენიჭება – პერსონაჟის მამულიც
ციყვია, მოჯადოებულ წრეში მოხვედრილი
და არავითარი შუქის წერტილი არ ჭიატებს,
რომ ერი ამ წრეს თავს დააღწევს.

თუმცა კი ღერძული სათქმელი შავბნელი
და ტრაგიკულია (ესაა ავტორისეული რე-
ალიზმი), ტექსტის თხზვის სტილი იგივეა,
რაც მწერალს თავისი ხანგრძლივი შემოქ-
მედებითი ღვაწლის გზაზე შეუმუშავებია
და შეუთვისებია – ხალხური სადა ენა, პო-
პულარული ქართული, ზომიერი და მოხდე-
ნილი შედარებები; ალაგ-ალაგ სიტუაციური
(და არა მარტივი ენობრივი) იუმორი. ერთი
სიტყვით, ყველაფერი ის, რაც საუკეთესო
ნოველებშია მომარჯვებული. სხვაგვარად
შეუძლებელიც იყო, თუ ვიზიარებთ (და ვი-
ზიარებთ კიდევაც!) ბიუფონის ფორმულას –
სტილი თვითონ ადამიანია! საკუთარ თავს
კი ვერავინ შეცვლის. ეს უკვე მე-12 საუკუ-
ნეში იცოდნენ: „თავსა ახლად ვერვინ იშობს“
(რუსთველი).

უნინარეს ყოვლისა, ორიოდე სიტყვა კომ-
პოზიციანზე.

ამ მხრივ, ჩემი აზრით, რომანის ორი ტიპი
არსებობს: ერთია მკაცრსიუჟეტიანი, მეორე
– რბილსიუჟეტიანი, როდესაც კომპოზიცია
ამორფულია და უკანა პლანზეა გადაწეული.
ვუნოდოთ მას მოზაიკური ტიპის მხატვრო-
ბა. ჩემი ღრმა რწმენით, პირველ ბანაკში



თხრიდა, აღმრავებდა და ტკეპნიდა
ნოველის კალაპოტს, რაკილა ამ ჟან-
რის ტექსტი ნიუანსურ-ფილიგრანულ
დამუშავებას მოითხოვს. ამიტომაც
ახალი სქელტანიანი თხზულების ძი-
რითადი სამშენებლო მასალა ნოველა-
თა წყებაა და სარომანო ფინალისაკენ
სწორედ დამოუკიდებელ ნოველათა
მოზაიკას მივყავართ.

იმისათვის, რათა საბოლოოდ და-
ვადგინოთ, თუ „რა ნავილოთ თან
ათასწლეულობის განმავლობაში დე-
დამინით დამტვერილმა ადამიანებმა
ახალ პლანეტაზე და რა დავტოვოთ
აქ – სამუდამოდ გასაქრობად და და-
სავინყებლად“, გონიერი მკითხველის
გონებას სხვადასხვა მხრიდან ეხვევა,
თავს ევლება და ელაციცება მწერლის
ხატოვანი სიტყვა და, ვგონებ, ჟურნა-
ლისტ ლავრენტი მიქაეას პერსონაჟის
დახატვით ჯეროვნადაც აღწევს მის
შეგნებაში.

ისე მოხდა, რომ პრეზიდენტის ფო-
ტოგრაფი საკუთარი მოვალეობის
საუკეთესოდ შესრულებისათვის კი
არ დააჯილდოვეს, არამედ დასაჯეს.
აღსრულდა ხალხური ლექსის იდეა:
„დამიჭირეს, მკლავი მომჭრეს, რა-
ტომ კარგი აგიგია?!“ არადა რა ექნა
ფოტოხელოვანს – კარგ ხელფასს
ეძიებდა, რჩენის სახსარს დაეძებდა
და ამ ძიებაში მხედველობიდან გა-
მოეპარა ნიზამი განჯევის ბრძნული
რჩევა:

► 183.

ნუ იმსახურებ ნურასდროს შაჰის ჯარსა და დივანში; გული შაჰისკენ ნუ გინეცს, ცეცხლი ნუ გიძევს თივაში!

თუმცა უბრალო ფოტოგრაფს რას ვერჩით, თვით გენიოსმა ფირდოუს-მაც ვერ დაიცვა ეგ მცნება! და ხელთ შერჩა ექსორია, მაჰმუდ ლაზნევისაგან მუდმივი დევნა, მოგზაურის მჩატე გუდა და ხმელი არგანი.

რისთვის აღმოჩნდა ფოტოხელოვანი ციხეში?

ერთ მშვენიერ უღრუბლო დღეს ცაზე მეხმა დაიგრგვინა: „პრეზიდენტმა რომ უმი თევზისაგან დამზადებული იაპონური კერძი მიირთვა და ლავრენტისთან ერთად კომპიუტერს მიუჯდა, მოულოდნელად ნიკარაგუას ცენტრალური გაზეთის – „ვატატატუ-ვაკახარას“ ახალი ნომერი გაუფინა მაგიდაზე ლავრენტის და მრისხანედ ჰკითხა: – რა ხდება, ლავრენტი?!

ლავრენტიმ გაზეთს დახედა და პირკატა ეცა – პირველსავე გვერდზე სათაურით „ერთი პრეზიდენტის ოინბაზობანი“ – სამი ფერადი ფოტო იყო დაბეჭდილი“ (გვ. 11). გასაგებია, რომ სამივე ფოტონიმში უხამსობის დემონსტრირება გახლდათ და იქ სახამსო არა იყო რა!

ასე მოხვდა ციხეში ან უკვე „სამშობლოს მოღალატედ“ სახელდებულნი.

აქ მას დრო თავზესაყრელად ჰქონდა და ისიც ფიქრობს იქითურზე, აქეთურზე, განვლილ ცხოვრებისეულ გზასაც თვალი გადაავლო. ასე ვეცნობით მის ცხოვრებას, რომელიც ისე ალალ-მართალი იყო, როგორც დილის სხივი დარიალის ხეობაში. ამ მხატვრულ ბიოგრაფიაში ჩართულია ბევრი საგულისხმიერო ამბავი (გერმანელი ექიმისა, რუსულის მასწავლებლისა), არაერთი საინტერესო დაკვირვება, ფსიქოლოგიური დეტალი. რედაქციაში ნამუშევარი გახლავართ და მეც არაერთხელ მსმენია ფოტოს ოსტატთაგან: გთხოვ, ფოტოხელოვანი დამიძახე და არა ფოტოგრაფიო; აფორიზმია თუ ფსიქოლოგიური მცნება, ზოგი ნათქვამი გულში სამუდამოდ იდებს ბინას: ქურდს ჯაჭვით დაბმული ძაღლისა უფრო ეშინიაო (26). გურამ ფანჯიკიძემ სახელი რომ გაითქვა, მის ნაწერში არც ენა მოწონება კაცს, არც ეპითეტი ან თუ შედარება, მაგრამ მას ძაღვად ღრმა და მართალი ფსიქოლოგიური სიტუაციების მიგნება და აღწერა. ამ მხრივ ვაქებ ვითარებას, სადაც ახსნილია, თუ რად უყვართ მონაფეებს დანგრეული საყდრის მონახულება: „აღბათ, ასე მაღალი ღობე აქვს, იმიტომ“ (32); იგივე ითქმის სიტუაციაზე, როცა ფოთლებგაძარცვული ჭადრის კენწეროზე თავდაღმა ჰკიდია ნაცრისფერი მტრედი. ქვემოთ კი უამრავი

გამგლელი შექუჩებულა და განიცდის ფრინველის გაჭირვებას (45); თვალს გვტაცებს კლასიკური დონის აფორიზმი: „ყველაზე მაღალი კიბეც კი პირველი საფეხურიდან იწყება“ (77); მე ეს აფორიზმიც საგულისხმოდ მეჩვენება: „გასაკვირს მხოლოდ გმირები და სულელები სჩადიან“ (26); ამ ნიგნისეული აფორიზმები როდია ყურით მოთრეული და ნაძალადევი. ისინი თვით ტექსტის იდეური განვითარების გვირგვინს წარმოადგენენ: „გზები არსად თავდებიან“ (89); რ. მიშველაძე იდეას მშვენივრად ავითარებს, როცა არკვევს: ჩვენ, ქართველებს, სიშორესა და ბუნებაზე სხვაგვარი წარმოდგენა გვაქვს, ვიდრე დიდი ერის წარმომადგენლებს (ვთქვათ, რუსებს). ჩვენი „შორს“ ათჯერ უფრო ახლოა, ვიდრე – რუსისა; ჩვენი „ბუნება“ უფრო მზიანია, მხურვალეა, ნათლიერია, ვიდრე რუსის ან იაკუტიელი-სა.

ზოგი სიბრძნე ისეთია, კომენტარს არ საჭიროებს, ზოგი – დიახაც. უკომენტარო აფორიზმად მიმიჩნევია ეს საგულისხმო ფრაზა: „ქალი ქმრის სახალხოოდ ქებას რომ დაიწყებს, ორი რამ არის უსათუოდ: ან ნალალატევი აქვს მისთვის, ან ანი აპირებს ლალატს“.

მხატვრული ლიტერატურა იმად არის მხატვრული, რომ საზრდოობს ხატოვანების მუდმივი და მარადიული საშუალებებით. ერთი ასეთია შედარება. მე, პირადად, ამ ხერხის დიდი პატივისმცემელი ვარ და ზოგჯერ მეტაფორაზე წინაც კი ვაყენებ, მით უფრო, რომ მიმანია: რეალისტურ ტექსტში მეტაფორაზე მეტი პატივი შედარებას ეკუთვნის. ჩემი ფიქრით, მიგნება ასეთი პარალელი: „ხახალეიშვილი რატომღაც ჰ ასოს შევადარე და გამელიმა“ (51). რომც არ იცნობდე ამ პერსონაჟს, მარტო ეგ შედარებაც კი საკმარისია მისი პიროვნების ცხადად წარმოსადგენად. უფრო მარტივია, ოღონდ ესეც დროული: „თეთრთმიანი კინოეკრანიდან გადმოსული ქალი თავისი ფეხით გამოიყვანა“ (115); ჩვენი ავტორის სტილისათვის ერთობ დამახასიათებელია იუმორისტული ელფერის შედარება, სადაც სიცხადეს ღიმილიც უჭერს მხარს: „არგენტინურ-ბრაზილიურ 635-სერიან ფილმებში რომ სოფლის მასწავლებელი ან დაზღვევის აგენტები გამოჰყავთ, ისეთი იყო ზემფირას ნაცნობი (244).

მსუბუქი და სახალისო იუმორის კვნიტა მარილია, რომელიც ყოველთვის ასე შევნოდა ნოველისტის ნებისმიერ ტექსტს (მოთხრობას, ნოველას, რომანს, კრიტიკულ თუ იუმორისტულ წერილს). ეს ლაზათი არც ამ ბოლო ნაწერს აკლია. განსაკუთრებით სამახსოვრო ეპიზოდებს აქვე გთავაზობთ: „ისე ომანხანად, ჟრუანტელისმომგვრელად ლაპარაკობდა ყოველი მოქადაგე, მინდოდა მივსულიყავი და მეთქვა: ცოდოა სააკაშვილი, ცოტა შეიბრალებ! ამ შენი გამოსვლის მერე გადადგომით ხომ უქვევლად გადადგება და მეშინია, თავი არ მოიკლას-მეთქი!“ (325). თუნდაც სიტყვა გამიგრძელდეს, კიდევ ერთ ნიმუშს გაახლებთ: „შეიარაღებული დაცვის გარეშე ღვინო-კონიაკს კი არა, სიდედრს ვერ ჩაიყვან ახლა დანიშნულების ადგილზე“ (183); ერთ ქურდს პერსონაჟი ასე ეუბნება: „კაპიკის მოხერხებას არა ვარ, თვარა, ფული რომ მქონდეს, თქვენზე უკეთესს ვის მივცემდიო“ (197); აგერ კიდევ ერთიც – სექსუალური იუმორის ნიმუში, გამომძიებელი დამსვენებელს ეკითხება: „იმ ღამეს ისე მკვდარივით როგორ დაგეძინებოდა, ქალისა და კაცის სხვა-ნაირი ქმენა ან ერთი მოგუდული შეკვივლება მაინც არ გაგეგონაო?“ (248); დიდი უცხოელი პოლიტიკოსის სტუმრობის საბაბით პროტესტანტების კარვებს იღებენ. ერთი ოპოზიციონერი გულუბრყვილოდ ეკითხება პოლიციელს: „რო წავა სტუმარი, ისე დაგვიდგამთ ამ კარვებს თავის ადგილზე-მეთქი? წყალწაღებულივით ხავსს ჩავებლაუჭე“ (329).

საავტორო სათქმელს მეტ სიღრმესა და ლირიკულ ელფერს ანიჭებს პოეტურ-ფერწერულ სურათთა სათანადო ადგილებში ფაქიზად ჩართვა: „სიჩუმე ჩამოვარდა, ბებერ ლელვის ხეს ჩიტი ააწყდა, პატარა წრე დაარტყა და ისე იმავე ტოტს დაასკუბდა. რა მიზეზით აფრინდა ასე უწაუნა, ან რა მოსაზრებით დაუბრუნდა იმავე ტოტს, ვერ გეტყვით“ (181).

მსგავს ვითარებაში მკითხველის ფანტაზიას, თითქოსდა ბორკილი ახსნესო, მეტი სივრცე ეძლევა თავის გუნებისად გასანავარდებლად და შინაგანი შვების საპოვნელად. კიდევ უფრო უკეთესია ეგ მაგალითი: „ისეთი სიჩუმე იყო კლასში, ისეთი, რომ არ შეიძლება, ხელში ღამურა გყავდეს კაცს და არ გაუშვა“ (30).

ჩემი ფიქრით, აქ იუმორისტულად არა ოდენ ონავრული ხასიათი იხატება, არამედ აღნიშნული „რთული ფსიქიკური ვითარების“ მთელი ანატომიაც, ის ვითარება, როცა სიტყვა იმაზე მეტს გამოხატავს, ვიდრე ჩვეულებრივ გულისხმობს ხოლმე, მწერლობა კი სწორედ ეგაა – სიტყვამ უფრო მეტი თქვას, ვიდრე ავტორი გულისხმობდა.

ვფიქრობ, სწორედ ამდაგვარი მეორე ფაქტიც: „უკლებლივ ყველა ვარსკვლავი ჩანდა ცაზე და დალი წასვლას არ აპირებდა“ (75).

აქ მარტო ის კი არ არის მოცემული, რაც აღწერილია, არამედ სხვაც, კერძოდ, ის, რომ ახლომახლო სიყვარულის მაღლი დატრიალდა, მიწის ზედაპირიდან ამოიზარდა, წყვილს თავბრუ დაახვია და აღმწერლის

გონმაც სწორად გადასცა მწერალ მარჯვენას. ამ ფრაზის კითხვისას კონტექსტს რომ ვითვალისწინებ, ასე მეჩვენება, თითქოსდა მწერალს პირალესილი ცელი მარჯვედ მოექნიოს და ლორთქო ალერდი ტალღატალღად აგერ ახლოს, ზედ ჩემ გვერდით, მიენვინ-მოენვინოს.

ამგვარი პასაჟები ერთი და ორი როდი შევნიშნე. მათ შორის განსაკუთრებული ესთეტიკური ძალით გამოსარჩევი ესა მგონია – იმედეცრუებული პერსონაჟი ავტორს შორდება. მწერალი – პერსონაჟი შენიშნავს: „ღია კარებში ვიდექი და ინდურ თეთრ სპილოზე ვფიქრობდი რატომღაც“.

მე, პირადად, ამ ერთი ფრაზის ესთეტიზმში არ გავცვლიდი ბევრი მწერლის არათუ ერთ მოთხრობას, მთელ შემოქმედებასაც კი!

სანამ ჩემს კალამს სადავეს მოვუნვედე, კიდევ ერთ ამგვარ ნიმუშს შემოგთავაზებთ: „შარშან მოლოკ-მოიბალახა ტალღამ მთელი სანაპირო“ (253). ეგ მეტაფორული გაპიროვნებაც გაიძულებს, ორიგინალურ მხატვრულ სახეს ახალი სახელი მოუძებნო!

გამოცდილი კალმოსანი ისევე ძველებურად თხზავს ახალ კომპოზიტებს, გამოთქმებს, ენობრივ მოსაქცევებს. ბევრი მათგანი ბუნებრივია და კონტექსტში ძვირფასი თვალთ არის ჩასმული: „უნებლიე თუ ნებლიე საქციელი“ (252), „გარომოჯუღი-ეტება“ (261), „გავიცინ-გამოვიცინეთ“ (238), „ვიურიისვალეთ“ (109). შეიძლება, ზოგი სხვა მარჯვე თქმა კიდევაც გამომეპარა, თუმცა კი მე მუდამ ბეჯითად მივდევი ლენინის მცნებას.

ვლადიმერ ილიჩი ერთგან წერს (საკუთარი თვალთ მაქვს ნანახი): სამეცნიერო-კრიტიკული სტატია, შეიძლება, აქა-იქ ამოიკითხო და ეს სრულიად საკმარისი აღმოჩნდეს კამათში მონაწილეობის მისაღებად, ოღონდ მხატვრული ტექსტი სიტყვა-სიტყვით უნდა წაიკითხო, არაფერი გამოტოვო, რადგან იქ თვით წერტილ-მიძიმესაც კი, შესაძლოა, დიდი ფუნქცია ეკისრებოდესო.

ცამდე მართალია!


და, როგორც უნდა ინალვლოს ავტორმა და იხაროს მკითხველმა, აჰა, მოაღწია საბოლოო წერტილის დასმის დრომაც.

ნიგნში ერთგან ვკითხულობთ საინტერესო ფრაზას: „სირცხვილი, ქეთრინ, ადამიანებმა მესამე პირისათვის მოიგონეს“.

თუ ამ აფორიზმს კრიტიკოსის ენაზე გადავაკეთებდით, ასეთ რასმე მივიღებდით:

„კრიტიკა, მეგობარო მკითხველო, მწერალმა და მისმა რედაქტორმა მესამე პირისათვის მოიგონეს“.

ეს „მესამე პირი“ ამჯერად მე, მურმან თავდიშვილი, გახლავართ!



თენგიზ სვანიძე

მონაწერი შეყვარებულ მოგონასი

მწვავდა, მართობდა გაზაფხულის მზე, მეგონა, შენით ვიყავ ცოცხალი... თურმე მე ვიყავ შენი სამიზნე, დამჭერი, მაგრამ სულ ვერ მომკალი!

უსინათლო მოგონა

ყველა ბრმა ბრძენია საადი

რისთვის თენდება დღე უსინათლო? თუნდაც მზე ვისთვის ამოისვეტა?! მარწყვივით გოგო და უსინათლო?

გზას მიუყვება ფიქრად მიდენილს, მზის და სინათლის მარად მძებნელი... ეჰ, უსინათლო და შორსმჭვრეტელი რამდენიც გინდა, არის იმდენი!

ხელჯოხი დააქვს, როგორც ეყვანი, - გული ვით დარჩეს გაუზზარავი?! ნუხილი, ფიქრი, ღამის თევანი, - ყველა შენთან და... მაინც არავინ!

გუშინ ვიხილე გოგონა მზისი, რომ გადაჰყავდათ მეორე მხარეს და მე ვიგრძენი, ნუხილი მისი ცაში აჰქონდათ სევდიან ქარებს.

დარდი მენვია

დისშვილს - ფარნაოზ გეგელიას

დარდმა გლრღნა, გლრღნა და ბოლომდე გაგლრღნა, ნუხილი მაინც არვის გაანდო!... თითქოს ამნუთას ჩვენთან ხარ, ფარნა, და გადმოვდივარ შენთან ალავერდს.

ხარივით ქედზე იდგამდი ულელს, - შორს იყო შენგან დარდიმანდობა... კვლავ შენზე დარდი მენვია ნუხელ და ცრემლებით ვსვამ შენს შესანდობარს.

სიცილ-ხარხარი დრომ წარიტანა, ხარ მონატრება სულში ჩამდნარი... შენ ნაადრევად დაგეტოვე, ფარნა, ჩვენი სამარეც, ბიჭო, მანდ არი!

იის ფერები

იაიები ამომღერდა მინის სიღრმიდან, უამფერებოდ, სიცოცხლეო, მუდამ გიჭირდა! მზე - ქვეყნის თვალი - ამოცურდა, ამოლამაზდა, მზე მაინც მზეა, აქვს თავისი შნო და მაზანდა!

სული ცაში ფართქალეხს

დღეებს ჩანახუტები, ქრიან ლალად ნუთები, მოსაცდელად არასდროს ჩემთვის არა სცალიათ... გაზაფხულით ვინთები, სულში ჩაუფრინდები ჩემი ლექსის სათავეს - კოხტა გოგოს ხალიანს.

სიხარული - ნამცეცა, გული ფიქრებში გამექცა, უეცარი ღიმილი და ტკივილიც ვიცი მე... შავ-შავი ნანწავითა, გოგო საით წავიდა, გზებო, რამე მითხარით, ცაო, გადაინვიმე!

სული ცაში ფართქალეხს, სალამური გავთალე, სასიმღეროდ გავთალე, - მოვიშორე სიმძიმე... ჩემი ბედის ვარსკვლავი, ვისთვის - გულმოსაკლავი, ჩემი თვალების ცაზე განუწყვეტლად ციმციმებს.

შემოდგომის ქარები

სიყვარულმა დამტოვა, გაჩენიდან მარტო ვარ, გაქრა წამი თრთოლვისა და წვის, ღამდება თუ თენდება, გულზე ცეცხლი მედება, - მოიმედე ვრჩები მხოლოდ ღვთის!

ძილი არ მეკარება, სულო, სად გეჩქარება? სად დაიდებ ნავსაყუდელს, სად?! წლებმა თვისი დამმართეს, გადამამისამართე, - ყველაფრისთვის ვარ, უფალო, მზად!

„ნარი-ნარი, ო, ნარი“, - ტკბილი მოსაგონარი გამიმრავლე უკანასკნელ წამს... დრო არ ქრება უკვალოდ, უკვდავება, უფალო, შენით შენით, მხოლოდ შენით მწამს!

ჩემს თავს ველარ განვაგებ, ეშმა მიგებს ხაფანგებს, მოგონებებს ცხარე ცრემლი სდის... ღამემ მზერა დაბინდა, ჩემი დარდიც დაღვინდა, ცხოვრება სულ, სულ ბოლომდე მცდის.

დაძრწის ღრუბლის ფაფარი, - ვერსად ჰპოვა საფარი, ვინ გაიგებს, რა ტრიალებს ცად, მესმის ყრმობის სლუკუნი, ჩამონვება უკუნი, ყველაფრისთვის უნდა ვიყო მზად!

მუდამ მწვავდა მზე-მწველი, შევეძელ ის, რაც შევეძელი, მსურს სიცოცხლე მბრძანებლობდეს სულ, მჩხვლეტენ ჟამის ბარდები, ნავალ, გავსიზმარდები, - მოვასვენებ განანამებ სულს!

სიყვარულმა გამწირა, მელოდება ანი რა? მოიმედე ვიყო მაინც რის!... მსევდავს მწვანე ფერდები - ქვესკნელში ვიხედები, შემოდგომის ცივი ქარი ქრის.

ო, ნეტავ როდის

ო, ნეტავ როდის გამოიდარებს, აღარ ილევა წყარო დარდისა... ძვირფასო, შენით დაბანგულ ჰაერს ვისრუტავ, როგორც სურნელს ვარდისას. და მეჩვენება: ჩავიდა ეს მზე, როცა ვერ გხედავ, ჩემო ფერია, და მე ვოცნებობ შენზე და შენზე, ზოგს საოცნებოც არაფერი აქვს!

ქალი რომ არ უყვარდეს...

გრძნობებს... რა არ ვეცადე, გრძნობებს... რა არ ვეცადე, გზა ვერ გადავუკეტე... კაცი სხვას რას ინატრებ, კაცი სხვას რას ინატრებ სიყვარულზე უკეთესს!

მოგონება ფრთებსა შლის, მოგონება ფრთებსა შლის, - წარსულს გავიზლაპარებ... თვალებს ამ სიბერეშიც, თვალებს ამ სიბერეშიც ქალებისკენ ვაპარებ.

დარდი მომძალეზია, დარდი მომძალეზია, - არ ჩანს გზა გასახარი... ღამაზ ქალის შემეყურეს, ღამაზ ქალის შემეყურეს მოქცეული მაქვს მხარი!

თუმც ნელინელ მინელებს, თუმც ნელინელ მინელებს მფრქვევი ტრფობის ალისა... გრძნობებს ვერ შემინელებს, გრძნობებს ვერ შემინელებს ჯიუტობა ქალისა!

გვერდი ვერ ავუქციე, გვერდი ვერ ავუქციე, ბევრსაც გული დავპირდი...

ქალი-ყოვლისშემძლეა, ქალი-ყოვლისშემძლეა, ქალი... ქალი-მაგნიტი!

თვალებს ვერ ავუკრძალე, თვალებს ვერ ავუკრძალე ქალებისკენ ყურება... ქალი რომ არ უყვარდეს, ქალი რომ არ უყვარდეს, კაცი არ მეგულება.

ქართლი საყვაროში და საყვარო - ქართლში

(გ. სოსიაშვილის „მავთულხლართი“)

თამილა გოგოლაძე

ძნელია ლოკალური სამყარო გლობალურ პროცესებამდე აიყვანო და პირიქით, თურმე კი ეს შესაძლებელია მხატვრული სიტყვის მეშვეობით და ჭეშმარიტადაც, რადგან ნაწილი ისევე ეკუთვნის მთელს, როგორც მთელი - ნაწილს. ეს პროცესი იმდენად ცნობადია, რამდენადაც ზოგადადამიანური პრობლემები სწორედ კერძოში ვლინდება. მარადიული კითხვა - რისთვის ვცხოვრობთ, რატომ და რას ვაკეთებთ ჩვენი სიცოცხლით - სწორედ აქ, გ. სოსიაშვილისათვის ასე საყვარელ, მშობლიურ სოფელ დიცსა და მის შემოგარენში, ქართლში დგება და პასუხიც აქვე იხადება. მწერალი რეალურ ფაქტს სინამდვილის ერთ მონაკვეთში აქცევს მთელის ნაწილად, იმ ყოვლადსაყურადღებო საკითხის გარშემო, რატომ უნდა იყოს გაყოფილი შენი მიწა. მავთულხლართის იქით მდგომის აზროვნებით, მიწა მხოლოდ პრაქტიკული მნიშვნელობითაა სახმარი: მიწა ვართ და მიწად ვიქცევით, რატომღაც უნდა ვიკამათოთ, ვისია იგი. მაგრამ არა აქეთ მდგომისათვის, ჩვენი, შენი რას გაუყვიაო? რას და მავთულხლართს, რომელთან მიახლოებაც კი ტოლფასია შეურაცხყოფის, ტყვედ წაყვანის, ფინანსური „გატყავების“ თუ უსამშველო პატიმრობისა შენს მიწაზე უცხოთა მიერ. ეს ტკივილი იმდენად ძლიერია ქართლის სოფლებში, მას ვერ გაანელებ სხვა ადგილას დასახლებით. უცხო ქვეყანაში წასვლით თუ მხოლოდ ფინანსური უზრუნველყოფით. ცარიელდება ქართლის სოფლები „საზღვრისპირას“ სიახლოვეს, ზოგი არ ტოვებს ჯინაზე, ბრაზით გულს რომ აწევს, ასე იხადება სიძულვილი, მაგრამ უძღურების სიძულვილი. აქ ნათელ სვეტად მოჩანს მეგობრობა ადამიანებს შორის, რომელიც არ ექვემდებარება მავთულხლართს. ამიტომ ხატავს გ. სოსიაშვილი საოცარი სიტბოთი ქართველ და ოს მეზობლებს, მათ ზრუნვას საკუთარი ოფლით მორწყული მიწის ნაყოფის ურთიერთგაზიარებაზე. ხეხილიც სევდიანობს სამანს იქით და აქეთ. ისიც გაუყვია მავთულხლართს, ისიც დაუუნჯებია, ფოთლები ვერ გადააწვდინოს მეზობელ ხეს, ვერ მიესალმოს და გამოემშვიდობოს დილა-საღამოს. ადამიანები, რომელთათვისაც ომი არ დაწყებულა და არც დამთავრებულა, ის გოგია, ვანა, გუგულა... სამყარო უზარმაზარი ტკივილით, მიწის სუნის შესაგრძნობად. ამიტომ არ გამოყვავით რომელიმე მოთხრობა, ნოველა გ. სოსიაშვილის ზემოთდასახელებული კრებულიდან. აქ ერთი სურათია, რომელზედაც იხატება სიყვარული, სიკვდილი, ღვინო და მტევანში შეპარული მზე, უცხო მიწაზე მშობლიურის მონატრება და სევდა, ღმერთთან მიმართება და საკუთარი ფიქრის ბადეში გახლართვა... და მაინც რა საოცარი სიმართლით ხსნის ვახია („შემოდგომის სურათი“) ღვინის წარმოშობას და მის შედეგებს ადამიანში - „მზე მტევანში ძვრება და იძინებს. მერე იწურება მტევანი და ღვინოში გადადის მზე. ხომ გაგიგია, ღვინო კი არა მზე არი, მზეიო. მზე ღვინოში. მერე ღვინოს რო დაღვე, შენში შემოდის მზე და ამიტომ გეძალბა სიყვარული, ამიტომ ხდები დიდგულა. მზიანი ხდები, მზიანი. ამიტომაც უყვარდათ ჩვენს წინაპრებს ყურძენი, ვაზი. მზეს რომ ეთაყვანებოდნენ, ვაზიც იმიტომაც უყვარდათ“.

უცნაური მანერა აქვს გ. სოსიაშვილს, როგორც ქართველ პროზაიკოსს. მისთვის ფორმა ისაა, რაც მიესადაგება ზოგადადამიანურ ტკივილს, ამიტომ თანამედროვე ნოველის, მოთხრობის ფორმა მისთვის მხოლოდ „სამოსელია“, რომელშიც სათქმელს როგორც მოუხდება, ისე „მოაცვამს“. და მაინც რატომ ზოგადი და რატომ კერძო? ამას თვით ავტორი ამბობს თავისი წარმოებების პირით: არ არსებობს კერძო, რადგან იგი საზოგადოცაა, საადამიანო. ამიტომ წარმოიდგენს მწერალი თავს წამებული მაცხოვრის ადგილას. აქ იგი უბრალო მოკვდავის განცდასაც გვიჩვენებს და ღმერთის შვილისასაც. უცნაურია და საოცარი მისი სიკვდილის სადღეგრძელო („ახალი წლის ღამის მონოლოგი სიკვდილს“): „შენც მოგილოცავ ახალ წელს, შენ რაღა დააშავე. ვიცი, ყველას სძულხარ, მაგრამ რას იზამ, ტკბილია სიცოცხლე და შენც უბედურ დღეზე გაგაჩინა უფალმა, რადგან შენ გინევს იმ სამიწეული „საქმის კეთება, რასაც სიცოცხლის მოკვლა ჰქვია“. სიკვდილ-სიცოცხლეზე რაღა უნდა დანერო, - უთქვამს ერთ მონიფულ მწერალს ვილაც ახალბედა გოგონასათვის, - რაც შექსპირმა, ბაირონმა დანერეს, მაგაზე უკეთესს როგორ დანერო. თურმე შეიძლება დაინეროს და უნდა დაინეროს, რადგან ნიუანსი სხვაა, სათქმელის გამოხატვის ფორმა სხვაა, განზოგადება სხვა. და აი, ქართლის ყოფის ფონზე იგი ზოგადში გადადის ღვთის, მზის, მიწის სიყვარულით. ეს მწერალი ოსტატობაცაა და სათქმელის მკითხველამდე მიტანის დიდი ხელოვნებაც. ერთი რამე ანუხებს ავტორს უამრავ სხვა პრობლემასთან ერთად: ეს დავინწყების შიშია: „გავა დრო... დავინწყების ღრუბელი წამოგვადგება ყველას, სამიწელება დავინწყება, რომელიც არსებულს არარსებულად გადააქცევს“. ამიტომ ებრძვის ავტორი „დავინწყების ამ სენს, ცდილობს საოცარი სიფაქიზით“ შემოუნახოს შთამომავლობას ის დიდი ტკივილი, რასაც „მავთულხლართი“ ჰქვია, ის ტკივილი, რაც სამშობლოსმოყვარულ ადამიანს უსამშობლოდ აქცევს, რაც მიწის სურნელის მადლს შეუნარჩუნებს, რაც ძალაცაა პროზაული, ნიჭიც და სტილური თავისებურებაც. შეიძლება იმაზეც წერო, რაც ძალიან კარგად იცი და რაც არ იცი, მაგრამ შეგიგრძნია, გაგითავისებია და მკითხველის გულის კუნჭულამდე მიგიტანია, იქნებ გამოფხიზლდეს, იქნებ ერთი ამოიქშინოს მაინც ტკივილის შეგრძნებით, იქნებ „დავინწყებას“ წიხლი ჰკრას და უკეთესი ადამიანური სამყაროსათვის ერთი კენჭი მაინც შემატოს „კაცთმოყვარეობის გოდოლს“, ღმერთმა გვიბოძა სიცოცხლე, რათა არ გავანიავოთ, არ გავფანტოთ ყოველდღიურობის ორომტრიალში. ამაშია მისი სიძლიერე, სიძლიერე მწერლური სიტყვისა, რომელზედაც წიგნის რედაქტორი როსტომ ჩხეიძე თავის წინასიტყვაობაშიც მიანიშნებს: „მისი ტკივილები ნოველებს მოაქვს, ტრაგიკული სახელწოდებით „მავთულხლართი“, ერთნაირი უღმობლობით რომ დამჩნევია ჩვენს მიწა-წყალს და ჩვენს სულებსაც, უშუალოდ რაზეც გადის ის დროებითი საზღვარი“.

და მაინც ეს კერძოა ზოგადში და ზოგადი კერძოში, ქართლი სამყაროში და სამყარო ქართლში. ასე წარმოგვიდგება კიდევ გ. სოსიაშვილის 2014-2015 წლების მწერლური მოსავლის ერთი „ძნა“, კრებული, „მავთულხლართი“.

რევაზ ვეკუა

ღამის სიცოცხლის არის ჩუქურთმა

ჩემი სიცოცხლის შორეულ დღეებს შერჩება ლექსი ვით მოგონება, მზით ამაღლდება მიწის ნიაღზე, როგორც ჩუქურთმა, როგორც სიმღერა, და როცა ნათელს მოჰფენს აისებს, დრო ჩემს სიმღერებს გაითავისებს. აფრებს აკეცავს ღრუბლები ცაზე და ლურჯი ზეცა აახელს თვალებს, ღამეს კისერი აქვს მოღრეცაზე, და სანამ წამი ასკდება წამებს, დაფეთებული უძილო ღამე ამეტყველებულ ცისკრის ვარსკვლავებს წინილებივით შეიფარებს...
 ცის მზით შეფერილ ლაყვარდის კარებს რწმენით შეაღებს სიტყვა უთქმელი, ამეტყველდება ხატი და რჯული, კოსმოსს შუტევს კაცი ჯიქურად, დედის მკერდით გულში ჩაკრული დაუტკობს სმენას კოსმოსს „ჩაკრულო“; მზით აივსება ყველა ჯურღმული, გაცისკროვნდება ლექსი ჩაუქურთმა, დრო ნათელს მოჰფენს ახალ აისებს და ჩემს სიმღერებს გაითავისებს.
 2015წ.

მალე ახალი წელიწადია ისევ ზ.შ-ს

დროსთან ჭიდილში ვინ არ მარცხდება, მაინც ვანთივარ იმედით, რწმენით, სანამ სიზმარი ამიცხადდება და მზეს ჩაიტანს ლექსი-მეწყერი, ქარებს ვებრძვი და ვნაყავ ოცნებას, ლამანჩელივით ლანდებთან ვდაობ, სხვა დროს მეძახის, ახლა მე მიწა დროებით სადმე გადავიკარგო.
 მე მოვალ ისევ შემქნელის ხატთან, მე ისევ მოვალ ქარონის ნავით, მე ახლა ჩუმად სხვა სიზმარს ვხატავ, სულ სხვა უდაბნოს, სხვა ქარავანით.
 სანთლების ალში მისულს ხატებთან, რას შევლის შენი ბუტბუტი ბაგის, ან ჩემს იმედს რა შეემატება, გადამატარო გულზე არაგვი; თუ შენს მშვენიერ ვარდისფერ ბაგეს დიდი სურვილით, ჟინით, ყიჟინით არ სწყდება ვნება და ხმა დამდაგე, არ ვენაფები მწყურვალის ჟინით, თუ არ მაგონებს მე ის შენს ამბორს, ოდეს ცის თაღზე აცურდა მთვარე, იმ უძვირფასეს ნამებზე ვდარდობ, იმ მოგონებით მინდება დავთვრე.
 ვერ დავიბრუნებ იმ დროს, ცხადია, არ განძრეულა თუმცა მეტეხი, უკვე რამდენი წალიწაღია, იქ ჩემს სიზმრებთან დავებტეხი. ვერ დავიბრუნებ იმ დროს, ცხადია, დრო სიცოცხლეს და კვდომას აგვარებს, რაც ხდება, დროის განაცხადია, ზრდის და ამაგრებს ახალ წარგავებს...
 წამში ეტევა ყველას წადილი, ვის რა ახარებს, ვის რა სწადია, ნაძვის ხესავით მორთავს ოცნებას, მალე ახალი წელიწადია.
 მიქრიან წლები, ზარავს ზარები უდაბურ ღამეს, მწირ მოგონებას, და ნაფხური დაცლილ ვაზნების გულზე მაჩნდება ლამპიონებად.
 ვერ დავიბრუნებ იმ წლებს, ცხადია, რაც არის, დროის განაცხადია.



ზაურ მოლაშხია – 70

70 წლისა შესრულდა თვალსაჩინო ქართველი პოეტი, აკაკი წერეთლის პრემიის ლაურეატი ზაურ თეოფანეს ძე მოლაშხია. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ძვირფასო ზაურ!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები გულმხურვალედ მოგესალმებიან ჩინებულ პოეტსა და ერისკაცს და გილოცავენ დაბადების 70-ე წლისთავს.

პირველი ნაბიჯები სამწერლო სარბიელზე 1962 წელს გადადგით, როდესაც ზუგდიდის საქალაქო გაზეთ „მებრძოლში“ გამოაქვეყნეთ ლექსი „ქარო, ქარო, გეხვეწები“. მას შემდეგ თქვენი ლექსები და მხატვრული თარგმანები სისტემატურად იბეჭდება ლიტერატურულ პერიოდიკაში, გამოდის ცალკე წიგნებად.

ქართველი მკითხველი მოწონებით შეხვდა თქვენს ისეთ პოეტურ კრებულებს, როგორცაა „მზებუდობა“, „გულს ყველაფერი ახსოვს“, „მიზიდულობა“, „ყამი სასოებისა“, „ვარსკვლავთა ტალანი“, „დასაზღვრული უსაზღვროება“, „ერთტომეული“... ამ კრებულებში დაივანა თქვენმა პოეტურმა ენერგიამ, თქვენმა ტკივილებმა და სიხარულმა, სევდამ და ოცნებამ თქვენი სათაყვანებელი, თქვენი საესავი სამშობლოს უკეთეს მომავალზე. დიახაც რომ თქვენი ლექსები საოცრად ჰგვანან მათ ავტორს, ისინი ხომ თქვენსავით გულწრფელნი, სიკეთითა და მადლით გასხივოსნებულნი ადვილად აღწევენ მკითხველის გულამდე და იქ იდებენ ბინას. თქვენი პოეზიის ლირიკული გმირი სათუთად უფრთხილდება მამის დანაბარებს, სირცხვილი არ მაჭამო, შვილოო და ისიც გამუდმებით ცდილობს სტრიქონებს მამისეული კერიის სიტბო შეუნარჩუნოს და უერთგულოს იმ ტრადიციებს, რომლებმაც აქამომდე მოიყვანა ქართველთა საუფლო. სამშობლოა მისი მარადიული ჟრჟოლა და სულის კანკალი. ყოველთვის მზადაა მზისკენ გააქროლოს რაშების რემა, მზისკენ, ზეცის თავანზე რომ იწურება დაჭრილი და ნაიარევი...

თქვენი პოეზიის საუკეთესო ნიმუშები თარგმნილია უკრაინულ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე.

თავადაც ეწევით მთარგმნელობით საქმიანობას და სწორედ თქვენი თარგმანებით გაეცნო ქართველი მკითხველი გოეთეს, მიცკევიჩის, პუშკინის, ლერმონტოვის, ტიუტჩევის, ბუნინის, გუმილიოვის, ესენინის, სკოვოროდას შემოქმედების ცალკეულ ნიმუშებს.

სხვადასხვა დროს მუშაობდით გამომცემლობა „განათლების“ უფროს რედაქტორად, გამომცემლობა „საქართველოს“ რედაქტორად, გამომცემლობა „ეგრისის“ მთავარ რედაქტორად. ხართ ჟურნალ „აიას“ თანარედაქტორი, იყავით საბავშვო ჟურნალ „კვირტების“ გამომცემელი...

ყველას ხიბლავთ თქვენი კაცთმოყვარეობით, სიკეთის ქმნის დაუოკებელი სურვილით, ვაჟკაცობითა და ქედუხრელობით.

ჩვენო ზაურ!

კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს ჩვენს უღალატო ძმასა და მეგობარს, დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და ახალ შემოქმედებით გამარჯვებებს გისურვებთ.

საქართველოს მწერალთა კავშირი

რაულ ჩილაჩავა

პოეტი

ზაურ მოლაშხიას

პოეტი უნდა ცხოვრობდეს მართლაც აკაკის მსგავსად, სახლი თუ თავშესაფარი ჰქონდეს ყველგან და არსად.

სიტყვა უჭრიდეს რვალივით, თვითონაც იყოს რვალი.

რომ მოუხადოს სამშობლოს უნეტარესი ვალი.

შეეძლოს გლოვაც, გალობაც, მედგრად დახვედრაც მტერთა, სცხოს ელვარება მეფური მათ ფიქრთა მრავალფერთა.

იყოს წმინდა და სპეტაკი, როგორც მყინვარის წვერი, თან ქვეყნად ლექსი რჩებოდეს ზედ გულზე დასანერი!

სამაგალითო მეგობარი და თანამედარდე!

ზაურ მოლაშხია ჭეშმარიტად ეროვნული კაცია. მისი კალმის ყოველი გამოწვევა გულზე მხვდება, უპირველეს ყოვლისა, მაღალი პროფესიონალიზმითა და უაღრესად სწორი ეროვნული პოზიციით.

ტკივილი, რომლითაც გაჯერებულია ზაურ მოლაშხიას შემოქმედება, ყველა ქართველის ტკივილია, ამიტომ ზაურის

ყველა წიგნი მკითხველმა ინტერესით მიიღო და გაითავისა.

გარდა ყოველივე ზემოთქმულისა, ზაური სამაგალითო მეგობარი და დიდებული რედაქტორია.

დაბადების დღეს ვულოცავ ჩემს უღალატო კოლეგასა და თანამედარდეს.

რევაზ მიშველაძე

მწერალთა კავშირის თავმჯდომარე

წელთა ხალისი

პოეტის შემოქმედებას სიყვარული ასაზრდოებს, ნათქვამია და ეს რომ მართლაც ასეა, ზაურ მოლაშხიას პოეზიაც ადასტურებს. წლები გადის, მაგრამ მუზა არ ბერდება, ვერც პოეტის ასაკს აკლებს რასმე დროება, ბატონი ზაურისთვისაც ვერაფერი დაუკლია წლებს. მუდამ მოყვასისთვის თავდადებული, სამშობლოს ბედუკუღმართობისთვის შეჭირვებული, მეგობრებისთვის ხელის გამწვდენი, ასეთი იყო მუდამ და ასეა დღესაც. პოეტის გული მსოფლიო პოეტების გულთავანი და

შემკრებია, მისი ლექსები სიყვარულის და სიკეთის მატარებელია.

დაბადების დღეს რა უნდა უსურვოს ადამიანმა პოეტს, თუ არა მუზის უბერებლობა, წელთა ხალისი, ჯანის სიმრთელე და ოჯახთან ერთად სამშობლოს კეთილდღეობა.

გისურვებ დიდხანს სიცოცხლეს, ჩემო ზაურ, კიდევ ბევრჯერ გაგვახარე მკითხველები შენი ლამაზი პოეზიით.

პატივისცემით, ირინე ტალიაშვილი,

კოლეების მეზღვსურს ზამოძვარი

შეხედავ ზაურს და სიკეთე გიღიმის, დაელაპარაკები და ლექსი გადმოძინდები: ასეთია ეს კოლხი კაცი და ნიჭიერი პოეტი. მისი გვარის წინაპრები ქრისტეფორე კოლუმბს ახლდნენ ამერიკის აღმოჩენისას და როგორც ამბობენ, მექსიკაში მათი შტო ახლაცა ყვავის და არც მიკვირს, რადგანაც მო-

ლაშხიების გვარი ყოველთვის გამოირჩეოდა ნიჭიერებით, რომლის დასტური ზაურ მოლაშხიაა, რომელსაც 70-წელი შესრულებია და, დამერწმუნეთ, ამ კაცმა მთელი ეს 70 წელი სამშობლოსა და პოეზიის სამსახურს მიუძღვნა.

გილოცავ ზაურ!

ნოდარ კობერიძე

„ერთგულების ორდენის“

უღალატო წევრი

ზაურ მოლაშხია ჩემი უახლოესი მეგობარი და თანამეკალმეა, მასწავლებელი და მეგულსწორე. მისი მზენათელი შემოქმედება ათეული წლებია ეთბილება ქართველ მკითხველს და უმშვენიერებს ესთეტიკურ წარმოსახვითობას. რაც ყველაზე მეტად დამახასიათებელია ბატონი ზაურის შემოქმედებისათვის, მისი თავისუფლების ხარისხის აღმატებულებაა, უბორკილო, ლალი სტრიქონების მაღალოსტატურად ჩამოქნა და რაღაც განსაკუთრებული უბრალოებით მკითხველამდე მიტანა.

როგორც საზოგადოდ აღიარებულია, მწერალს, შემოქმედს ყველაზე ნაკლებად თანამედროვეობა აფასებს, უმეტესწილად მყოფადში ჩნდება ის ღვანლი, რაც აწმყოში შეიქმნა. ზაურ მოლაშხია რეკლამირებული პოეტი არ გახლავთ და ამიტომაც მერმისი იქნება მისი მეპატრონე, მისი დიდებული შემოქმედების ღირსეული წარმომჩენი.

პოეზია, როგორც მშვენიერების ხერხემალი, მუდმივი სწრაფვაა სრულყოფილებისკენ და ამიტომაც ერთეულები

არიან ღირსნი შეიმეცნონ უსასრულობა მისი.

ზაურ მოლაშხია, როგორც ეროვნული მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენელი, მუდმივ შეუსაბამობაშია საკუთარ ეპოქასთან, ამ წინააღმდეგობათა ანალიზსა და მიზეზთა მიზეზს ჩვენ, მისი თანამებრძოლები, კარგად ვიცნობთ და ამიტომაც ვაღიარებთ „ერთგულების ორდენის“ უღალატო წევრად. ის, როგორც ნაღდი პოეტი, ზედროულ სინამდვილეში ცხოვრობს და თავისი პოეზიით ახერხებს წარსულის, აწმყოსა და მომავლის მთლიანობით წარმოჩენას, მისი სიდიდე მაინც სიმარტივის გენიალურად მიღწევაშია.

ვულოცავ ბატონ ზაურს ამ მეტად მნიშვნელოვან თარიღს და უფალს შეესთხოვ – ჯანმრთელობასთან და ოჯახურ ბედნიერებასთან ერთად არ მოაკლოს შემოქმედებითი წარმატებები.

მე კი ახლა ვზივარ, ვწერ მასზე და მისი შემოქმედების გარშემო გონსა და მზერას ვაფოთიანებ...

ზაურ მოლაშხია დიდი ადამიანია!...

ლამა გვანასია

პროტიდი

ლევან დათუკიშვილი

„და ვიხილე ახალი ცა და ახალი მიწა, სადაც აღარ იქნება სიკვდილი და აღარც გლოვა, აღარც ტირილი და აღარც ტანჯვა აღარ იქნება.“

აპოკალიფსი, 21:1,4

მხატვარმა ფუნჯები ჩვრით გაამშრალა, წყლიან ქილაში ჩააწყო, მერე კიდევ ერთხელ ყურადღებით შეათვალიერა ტილო და თავისი ნამუშევრით კმაყოფილმა წაიღილია „ნატურმორტი“ მართლაც ხალასი, შთამბეჭდავი გამოვიდა.

ახალგაზრდა, ოცდაათ წელს გადაცილებული მარტოხელა მხატვარი, რომელიც დედ-მამისგან განცალკევებით ცხოვრობდა ორსართულიან, ბაღში ჩაფლულ სახლში, სავარძელში ჩაჯდა და ფიქრითა დინებას მიენდო. იგი გულში სიცარიელეს გრძობდა. ასე მხოლოდ მაშინ ემართებოდა, როცა შექმედებითი ალტკინების ღრუბლებიდან კვლავ დედამინაზე დაეშვებოდა და „ქალის სურნელი“ მოეხატებოდა...

დახვეწილი გემოვნების უცლომვილო მხატვარი სიყვარულის საკითხში ფრთხილი და სათუთი გახლდათ: ცდილობდა, თავის რჩეულ ქალთან, თუ ამის სერიოზული საბაზი არ მიეცემოდა, დიდხანს არ შეენყვიტა მეგობრობა. ნაკითხი, განსწავლული მამაკაცი ეთანხმებოდა ჩეხოვის ცნობილ გამოთქმას: „დაწოლა ყველა ქალთან შეიძლება, მთავარია, დილით ვისთან გაიღვიძებ!“

ჩვენი მოთხოვნის გმირმა აბეზარი ფიქრები მოიშორა, მოდუნებულ კუნთებში სისხლი რომ უკეთ არქეფებულიყო, იქვე, თავის ფართო, ნათელ სახელოსნოში მამაკაცი ნაივარჯიშა და ყველა ნორმალური მამაკაცივით, რომელიც სიყვარულის წყურვილს ვერსად გაექცევა, მობილურ ტელეფონზე ნაცნობი ნომერი აკრიფა.

გისმენთ! – გაისმა ქალის მელოდური ხმა.

არ მოგეხატრე? – ეს მიმართვა იყო ქალ-ვაჟის საიდუმლო პაროლი. ძალიან!... მუშაობდი? ვისვენებ. მოხვალ?! ბევრი საქმე გამომიჩნდა, მაცალე ორი-ოდე დღე.

ეგ საბაბია. ქალი ყოველთვის კი არ არის სექსის გუნებაზე...

ეგ კი, მიზეზი. მკვახე ხილი კბილებს მოგკვეთს... – ეშმაკურად გაეცინა ქალს ტელეფონში.

გასაგებია... კარგი, უკეთესი დროისთვის გადავდოთ შეხვედრა.

მხატვარი საგარეო ტანსაცემლში გამოეწყო და ეზოში ჩავიდა.

მაისის ისეთი მშვიდი, საამო საღამო იდგა, არაპოეტსაც აამღერებდა: შეთვალული ბლის ზურმუხტოვანი ფოთლები მარადიულ სიყვარულზე ჩურჩულებდნენ; იასამნის ზუჭუჭა ყვავილები უცხო სურნელს აფრქვევდნენ; შავი ფრაკითა და თეთრი ჟილეტით თითქოს სამეფლისოდ თორთული მოჭიკჭიკე მერცხლები მუსიკალური სანოტე ნიშნებით ლამაზად ჩამსკრივებულნიყვნენ გვერდიგვერდ ელექტრონის მავთულზე; ირგვლივ სიცოცხლე ლაღობდა; მხოლოდ ტირიფს დაეხარა ტოტები მწუხარედ, თითქოს დაკარგულ სატრფოს გლოვობდა, რითაც, საყოველთაო თანაგრძობას იმსახურებდა...

მხატვარმა ღრმად ჩაისუნთქა გაზაფხულის არომატით გაჟღენთილი ჰაერი. გადანყვიტა ამჯერად „სული ნაწიმიდა“, გარაჟიდან „მერსედესი“ გამოიყვანა და ცირკისკენ აიღო გეზი, სადაც იმ დროს „უძველესი პროფესიის“ „ღამის პეპლები“ დასეირნობდნენ კლიენტების მოლოდინში. „ყვიდი სიყვარულს!“ – იგრძნობოდა მათ ვენებიან გამოხედვამი. მოქრთამული პოლიცია თვალს არიდებდა ამ არალეგალურ ვაჭრობას.

მხატვარმა ტროტუართან შეაჩერა მანქანა. „კბილებით მოციხარე“ მეძავეები მისკენ გამოემუშურნენ. ისე თამამად, ურცხვად იქცეოდნენ, რომ ჩამავალი მზეც კი განითლდა სირცხვილისგან და თერთმეტსართულიან

შენობას მოეფარა. „კოლეგებმა“ მაღალ, ქერათმიან, სიმპათიური გარეგნობის ქალს ოდნავ უბიძგეს „მერსედესისკენ“ – საშენო-აო, თვითონ კი, ჭორაობა განაგრძეს.

მხატვარმა თავაზიანად გაულო კარი ქერათმიანს, რომლის ტანსაცმელი იის სუნამოს სასიამოვნო, ნაზ სუნს აფრქვევდა.

უნდა გავაფრთხილო, ჯეელო, რომ ფულს წინასწარ ვიღებ. – ჩაჯდომისთანავე უთხრა მას ქალმა.

რამდენი უნდა გადაგიხადო? შუალამდე ასი ლარი. დილამდე?

ეგ სიამოვნება ორმაგი დაგიჯდება. მხატვარმა ძრავა აამუშავა და მანქანა დაძრა. მისმა თანამგზავმა ხელჩანთიდან „მარლბორს“ კოლოფი ამოიღო, სიგარეტი გააბოლა, რითაც თითქმის გააუფერულა იის ნაზი სურნელი და მამაკაცში უფრო მეტი ვნება რომ გაეღვიძებინა, კაბის კალთა მუხლზე მოთაინია. მძღოლის მხრიდან ამ მაცდუნებელ გამონეგვას განსაკუთრებული მღელვარება არ მოჰყოლია, ვინაიდან იგი ამ დროს შიშველი, ხავერდოვანი კანის ელვარებით კი არ ტკებებოდა, არამედ უფრო ალუღვებდა ქალის სახე, რომელსაც ზოგჯერ მალულად ტყორცნიდა მზერას და ისეთ ნაკეთებს პოულობდა, რაც ხელოვანისთვის ფრიად საყურადღებო იყო.

„ესეც მანდილოსანი იის სუნამოთი!“ – გაიფიქრა მხატვარმა. – „მისი თვლების ფერი საოცრად ნააგავს იის ფერს!... როგორი მიმზიდველი სახე აქვს! არსად მინახავს ასეთი მოხდენილი, ბერძნული ცხვირი, მარმარილოსავით სპეტაკი შუბლი, გადაკალმული ნარბები! ვარდის კოკორივით გაბუჭებული ტუჩები ხომ თითქოს კოცნისთვისაა შექმნილი!“ – გულში აღტაცებას ვერ მალავდა ვაჟი. ქალი კი? რას ფიქრობდა ქალი!... „ახლა დამინყებს მომბაზვრებელს გამოკითხვას ჩემს ნარსულზე – მყავს თუ არა ქმარი; როდის და რატომ ავეცი გზას და მისთანები. მტკივნეულია, როცა ზედმეტ ცნობისმოყვარეობას იჩენენ მამაკაცები. სამი წლით თუ იქნება ჩემზე უმცროსი. ეტყობა მდიდარი მამიკოს ლაღი ცხოვრებით განხებურებული შვილიკოა, ძვირფასი მანქანით რომ დაქრიალებს... როგორ „მოდოსავით“ ზის საჭესთან, ლაპარაკის მოყვარული არ უნდა იყოს. ისე, ადონისივით მოხდენილი მამაკაცი კია!“

როდემდე უნდა ვიყოთ ასე უბრადა? – სცადა ქალმა სასაუბროდ გამოენვია „მდუმარე მუღო“. – დიანა მქვია; შენი სახელიც დამიტოვე სახსოვრად. შეგიძლია ვაჟა დამიძახო. – უხალისოდ მიუგო მხატვარმა. შენი ნამდვილი სახელია? – დაეჭვდა დიანა.

ასე ვთქვათ... ინკოგნიტოდ გსურს დარჩე? თუმცა, როგორც გენებოს, ჩემთვის სულ ერთია – იყოს ვაჟა. ვაჟამ სტუმარი ქალბატონი თავისი „ციხე-დარბაზის“ საწოლ ოთახში შეიყვანა, ორასი ლარი მიუთვალა, რომელიც მან მყისვე ჩაიღო ხელჩანთაში და აბაზანისკენ მიანიშნა. წყალს არ გადაივლებ? ჩემო კარგო, მე ყოველთვის მოწესრიგებული გამოვდივარ სამუშაოდ. და მაინც... აგერ, პირსახოცი, თბილი ხალათი და წინდები; მანამდე ვაზამას გავანყობ.

დიანამ მხრები აიჩეჩა და უხმოდ გაემართა აბაზანისკენ. მხატვრის მახვილ მზერას მის მიხვრა-მოხვრაში არ გამოჰპარვია დახვეწილი მანერები, რაც კარგად აღზრდილი ადამიანის ჩვევებზე მეტყველებდა.

ცოტა ხნის შემდეგ დიანა აბაზანიდან გამოვიდა, სარკეში ყურადღებით შეათვალიერა საკუთარი თავი, თმები კობტად დაივარცხნა, ტუჩებზე მკრთალი პომადო ნაისვა, ტანზე სუნამო იპკურა, მასპინძლის მდიდრულ სანოლზე ნებივრად ნამოწვა და მომზიბვლეული თავი ბალიშზე მისვენა. ვაჟამ პატარა, დაბალ მაგიდაზე ცივ შამპანურთან ერთად ტკბილეული დაანყო და დიანას მაგნიტურ მზერას თვალი გაუსწორა.

შეკრთა მხატვარი – ქალი მშვენიერებას და სიყვარულს ასხივებდა!... დიანა სრულყოფილად ფლობდა ევას სიკეკლუციის ნიუანსებს: ხშირი, მზონინავი თმა შეარხია, ბაგე ოდნავ გააპო, ქათქათა მკერდი მოიღერა, ხალათის კალთა გადაიხსნა, რათა ხორციელი ფეხები გამოეჩინა და მაცდურად მიაჩერდა ვაჟს.

„ახლა ალბათ, მამალივით დამეძგერება... ვერ ვიტან უხემ მამაკაცებს“. – ფიქრობდა ქალი და აღტკინებულ ალერსს ელოდა, მაგრამ მისდაგასაოცრად, მხატვარი არ ჩქარობდა – მონუსხულივით იდგა საწოლთან. „ანგელოზური სათნოებით არის სხივმოხილი მისი სახე!“ – აღტაცებას ვერ მალავდა ხელოვანი. – „ქალღმერთის პროფილი და ჯადოსნური გამოხედვა აქვს! თითქოს ამართლებს თავის სახელს – ნარმეტაცია, როგორც ძველბერძენთა ღვთაება არტემიდე!“

დიანას ეგონა, მორცხვობს ვაჟი, გასამხნევებლად გაუღიმა, ლოგინზე ნამოჯდა და მკლავები გაშალა: მოდი ჩემთან, რას გარინდებულხარ?

ერთი წუთით, – გამოფხიზლდა ვაჟა, კარადიდან ალბომი და ფანქრები გამოიღო, ღამის ელექტროლაღმამა ჩართო, შუქის ნაკადი ქალის სახისკენ მიმართა, ალბომი გაშალა, ფანქარი მოიმარჯვა და ხატვა დაიწყო. დიანა დაჰყვა ახლგაზრდა კაცის ნებას. ვაჟა მთელი არსებით ჩაეფლო თავის პროფესიულ საქმიანობაში: მკერდმოშიშვლებული ქალის პორტრეტის კონტურები სხვადასხვა ასპექტით მოხაზა – პროფილით, ანფანსით, გაშლილი თმებით, ამაყად ანეული თავით, თავდახრით... გატაცებით ხატავდა თითოეულ შტრიხს, ხაზს, ნაკვეთს, უჯრედს... მან მთელი თავისი ცოდნა ფანქრის წვერში ჩააქსოვა: იგი იმ წუთში საკუთარ თავს აღარ ეკუთვნოდა – მხოლოდ აპოლონის მსახური იყო.

დიანა თავისი ვებებიანი თვლების ელვარება ჩააქრო და მორიდებით უსაყვედურა ვაჟას. მაგისტრის მომიყვანე, რომ მოდელად გამოგყენებინე?

ყველაფერი თავის დროზე... – ჩაილაპარაკა მხატვარმა. – ხომ არ დილაღე? მკვეთრმა სინათლემ თვალები მომჭრა. ათი წუთი დავამთავრებ.

ათი წუთი ნახევარ საათზე მეტხანს გაგრძელდა. ბოლოს, ვაჟამ ალბომი დახურა, ელექტროლაღმამა გამორთა და რაც შეეძლო თბილად უთხრა ქალს: ბოდიშს და მადლობას ერთად გიხდის შენუხებისა და პოზირებისთვის. ცოტა ხანს კიდევ ვნავიშუავებ ჩემს სახელოსნოში, თუ მოგმივდება, ყველაფერი მაცივარშია; არ მოიხყინო, მალე დავბრუნდები.

სახელოსნოში შესვლისთანავე, მხატვარმა მოლბერტის ჩერჩოზე ტილო გადაჭიმა, გადაშლილი ალბომი თვალის არეში მოაქცია, ზეთის საღებავები შეაზავა, პალიტრას ცერი გაუყარა და ფუნჯი მოიმარჯვა... გრილმა დილამ ღამე გაათენა, შუადღემ კი – დილა დააჭქნო... ფანჯრიდან შემოჭრილმა მზის სხივებმა მხატვრის სახეზე მორცხვად დაინყეს ნავარდი.

ვაჟა შეკრთა და თვალები მოიფშვინტა; გაუკვირდა, სახელოსნოში რომ დასძინებოდა, ასეთი რამ არასდროს მოსვლია, როცა გამორეკვა, მზერა მოლბერტზე შეაჩერე, სადაც ქალის ღვთაებრივი პორტრეტი იყო გამოსახული. საათს შეხედა – თორმეტს აჩვენებდა. უცებ ყველაფერი გაახსენდა, ნამოხტა, მზრუნველობით გადაფარებული ხალათი სავარძელზე მიაგდო და ჩქარი ნაბიჯით გაემართა საძინებელი ოთახისკენ. მთელ სახლში სიცარიელეს დაეხადგურებინა; ირგვლივ თითქოს სიჩუმე ყვიროდა. საწოლი ფაქიზად იყო გასწორებული, ზედ ორასი ლარი და თაბახის ორად მოკეცილი ფურცელი იდო. ვაჟამ ნერვულად გაშალა ქალაღდი და კითხვა დაიწყო: „ადონისო! დიდხანს გელოდი, მაგრამ ამო იყო ჩემი

გულისთქმა, რაღა არ ვიფიქრე... ბოლოს, ემოციებით დაღლილს თვალები დამეხუჭა და შენივე საწოლში ძილის ღმერთმა – ჰიპნოსმა მიმიღო... ასე მშვიდად და უშფოთველად კარგა ხანია, არ ძძინებია.

დილის შვიდ საათზე გამომღვიძა, ჩავიცვი და შენუხებულმა, ცუდად არ იყოსმეთქი, შენს სახელოსნოს მოვაშურე. ფუნჯითა და პალიტრით ხელში, სავარძელში დაგძინებდა. ფრთხილად გამოგართვი ორივე და ხალათი გადაგაფარე. არაფერი გაგიგია... მერე... მერე თვალი მოვაღვლე შენს ნახატებს და აღფრთოვანებისგან ადგილზე გავეშეშდი: რა ღვთის მიერ მოვლენილი ნიჭით ყოფილხარ დაჯილდოვებული! მხატვრობის ცოტა რამ მეც გამეგება – ათი წლის წინ თეატრალური უნივერსიტეტის ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტი დავამთავრე. ყურადღებით ნავიკითხე შენი ყოველი ტილო და გაცოცხლებს ვერ ვმალავდი!... ბოლოს, რუდუნებით შესრულებულმა „პროფილმა“ მომაჯადოვა – ასე მოგინათლავს იგი.

გახსოვს ალბათ, ისტორიული ფაქტი: როცა რაფაელმა ლეონარდოს შედევრი „ჯოკონდა“ იხილა პირველად, აღტაცებისგან რემლები ვერ შეიკავა. იქნებ მკრეხელობად ჩამითვალო ეს შედარება, მაგრამ შენს ნახატზე ჩემი თავი რომ შევიცანი, მუხლებზე დავეცი და მონანიე მარიამ მაგდალინელივით ავევითინდი...

გონებაში ნამიერად გაიბრინა ჩემმა არცთუ ვარდებით მოვლენილმა ნარსულმა – არ მქონია კრისტალური ცხოვრება ამ ცოდვით სავსე ქვეყანაში, მეც ერთი რიგითი ცოდვილი ვარ, უგულო საზოგადოების მსხვერპლი... მე როსკივი ვარ, კახა (ო, რა ამაზრზუნად ჟღერს ეს სიტყვა), ცხოვრებისგან გარიყული, მაგრამ ამაყი და ქედმაღალი! მე ცოდვილი ვარ, მაგრამ ვინ არის ამქვეყნად უცოდველი?!

როგორც ჭეშმარიტმა ქრისტიანმა, ზოგჯერ მსურს ბრბოს ქრისტესავით შევძახო: „ვინც თქვენს შორის უცოდველია, პირველად მან მესროლოს ქვა!“

შენმა ორიგინალურმა ფერწერულმა ტილოებმა ახლებურად გამინათა ცხოვრება, თითქოს გარდაქმნა შეიტანა ჩემს სულში. სიმბოლურია, რომ „პროფილს“ ორი სახე აქვს იანუსივით: ორიგინალური მხარე გასხვიოსნებულისა, ხოლო მეორე, უჩინარი, შავი ლაქებით არის დაფარული, როგორც ჩემი ნარსული და უკვე მჯერა, რომ სიცოცხლის პირქმე პირობებშიც კი – სინათლე დათრგუნავს სიბნელეს!

მშვიდობით, ბედნიერი ფეხი მაქვს და დარწმუნებული ვარ, ცნობილი ხელოვანი გახდები, რადგან შენს ტილოებს სიდიადე მოსავთ. დიანა“.

... რამდენიმე დღე კიდევ მოანდობა ვაჟამ „პროფილის“ დახვეწას; პორტრეტზე ბოლო შტრიხებს ავლებდა, მობილურმა რომ დარეკა.

მოგეხატრე? – იკითხა ნაცნობმა ხმამ. ნატო?! დამნიფდა ხილი? ყურმილში კისკისი გაისმა. რას საქმიანობ? – დაინტერესდა ქალი. მოხვალ? – პასუხის ნაცვლად ჰკითხა მხატვარმა.

თუ გულით გსურს... ერთ საათში შენთან გავჩნდები, ტაქსით ნამოვალ. ნატომ სიტყვა შეასრულა. ოთახში შემოსვლისთანავე, ვაჟამ ხელში აიტაცა ქალი, მკერდზე მიხიუტა, საწოლზე გადაანვინა და ჩაეკონა...

გინდა, ჩემი ახალი ტილო გაჩვენო? – ჰკითხა ვაჟამ ნატოს, როცა სიყვარულის ბურანიდან გამოფხიზლდნენ. ძალიან!

ქალ-ვაჟი სახელოსნოში შევიდნენ. ნატომ გაოცება ვერ დამალა, როცა „პროფილი“ გულდასმით დაათვალიერა; შენ აღარ ხუმრობ?... ვინ არის ეს ანგელოზი, ნახატზე რომ გამოგისახავს?

შენთვის უცხო, შორეული ქალბატონია, მენატრედ გამოვიყენე. არ ვიცნობ? არა.

არა.

არა.

არა.

არა.

არა.

არა.

არა.

არა.

სხვა გაიჩინე?
 ნუ ბავშვობ, ნატო!...
 ვიცი, ალბათ ისე არ გაუშვებდი!
 ეჭვიანობ?
 რამდენი დღე დაგჭირდა პორტრეტის დასახატად?

ერთი ღამე.
 ერთი ღამე... — გაიმეორა ნატომ. — ერთ ღამეში როგორ შექმნიდი ასეთ უნიკუმს? ისე მიმზიდველად უქათქათებს ძუძუ-მკერდი, რომ... ალბათ, ერთი კვირა მანძი აგორავე ლოგინში, თან ხატავდი, თან — სიამტკბილობდით... გიცნობ, გიცნობ, როგორი მუსუსიც ხარ...

ნუ მეზუტები, ნატო, ვფიცავ, ამ ბოლო დროს, შენს გარდა სხვა ქალისკენ არ გამიხედავთ. — ცდილობდა მის დამშვიდებას ვაჟი.

არ მჯერა შენი ფიცის. — ნატოს თანდათან ეკიდებოდა ბრაზი. — დაეთრევი ვილაც... ვილაც ქუჩის ბოზებთან. ავადმყოფობა უნდა ამკიდო?

აბა, ნუ აურეი, ახლა!
 მე ავურიე? მამ, კარგი! ჩემი ფეხი აღარ იქნება შენს სახლში, განანებ!

გაკაპასებულმა ქალმა კარი გაიჯახუნა და ალაღ-მართალი ვაჟა, რომელთანაც ერთი წლის მეგობრობა აკავშირებდა, თავის ფიქრებთან მართო დატოვა. დაემდურა საყვარელ მამაკაცს — აღარ მიდიოდა მასთან და აღარც მობილურზე პასუხობდა...

...ოქტომბრის დასაწყისში, ვაჟამ თავისი ნამუშევრებიდან ოცდაათი ფერწერული ტილო შეარჩია — მათ შორის, რა თქმა უნდა, „პროფილი“, რომელზეც პიგმალიონივით იყო შეყვარებული და მეგობრების ხელშეწყობით, გალერეა „ქარვასლაში“ პერსონალური გამოფენა მოაწყო. მენეჯერმა თხუთმეტი დღით დაუთმო დარბაზი. გამოფენის გახსნის პირველ დღეებში საზოგადოება გულგრილად შეხვდა ახალგაზრდა მხატვრის მცდელობას — ქეშმარიტი ხელოვნებისკენ გაეკვირა გზა, ხალხი კანტიკუნტად შედიოდა სალონში, მაგარმ მდგომარეობა მას შემდეგ შეიცვალა, რაც გალერეას ვაჟას ყოფილი ხელმძღვანელი, მსცოვანი პროფესორი ეწვია. იგი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა მხატვართა ელიტაში. დიდოსტატმა საქმის ღრმა ცოდნით შეაფასა ვაჟას ტილოები და თბილი ღიმილით უთხრა:

გამორჩეული სტუდენტი კი იყავი, მაგრამ არ ველოდი, ყმანვილო, მოკლე ხანში თუ ასე დახვეწდი ყალამს. ღრმად ნატიფია შენი კომპოზიცია... ამოღე არ ჩაუფიქრა ჩემს შრომას, როცა აკადემიაში გწერთნიდი. მართალია, შენს ზოგიერთ ტილოს სრულყოფა აკლია — მყვირალა და ყალბი ტონები შეინიშნება, მაგრამ მათი გამოსწორება დროის საქმეა.

პროფესორი „პროფილთან“ შეჩერდა, რომელიც ავტორმა თვალსაჩინო ადგილას მოათავსა დარბაზში; სათვალე შარფის ბოლოთი განმინდა, კვლავ ცხვირზე მოიგრო, ორიოდ ნაბიჯით დაშორდა ნახტას და გულწრფელი აღფრთოვანებით მიმართა ვაჟას:

ეს ტილო რეალობას აფრქვევს, ხატვიით ასხივებს, სუნთქავს, ცოცხლობს, მნახველს ალაგზნებს! როგორი სასიხარულით გადმოგიცია ქალის სახის სითბო და სილამაზე! თითქოს სადაცაა, გადმოვა ჩარჩოდან და ნარნარით გაფრინდებო ღრუბლებისკენ!... მართლაც, რა ახლოს დგანან ერთმანეთთან მხატვრობა და პოეზია!... „პროფილი“ სიხარულს მანიჭებს და სიამაყით მსურს გითხრა, ჩემო შეგირდო: „შენ მხატვარი ხარ!“ მართალია, შედეგებს მხოლოდ ბუნება ქმნის, მაგრამ ეს ფერწერული ტილო შედეგად შეიძლება ჩაითვალოს!... ორი—სამი ნახატი საზღვარგარეთი სრომელიმე პრესტიჟულ გამოფენაზე გაგზავნას იმსახურებს, რაზედაც მე ვიზრუნებ...

ვაჟამ მოწინებით გადაუხადა მადლობა ხელოვნების ქურუმს; სიხარულისგან იგი მეშვიდე ცაზე დანავარდობდა...

პროფესორის ვიზიტმა დადებითი გავლენა მოახდინა ვაჟას შემოქმედებაზე: პრესამ და რადიო-ტელევიზიამ ფართოდ გააშუქა სალონში გამოფენილი მისი ტილოების აგ-კარგი. ჟურნალისტები ხობტას არ იშურებდნენ ახალგაზრდა მხატვრის ნამუშევრების შესაქებად. მთელი ქალაქი ალაპარაკდა ფერწერის სტილში ახალი ვარსკვლავის ამობრწყინებაზე. შედეგამაც არ დააყოვნა — რადგან გალერეა „ქარვასლაში“ ხალხის ნაკადი არ წყდება, ხელმძღვანელობამ ორი კვირით კიდევ გაუგრძელა მხატვარს ხელშეწყობა...

გამოფენის დახურვის დღეს გალერეას უამრავი დამთვალიერებელი ეწვია; ზოგი მათგანი მეორედ მიდიოდა, რათა ერთხელ კიდევ შეეხლოთ თვალი მხატვრის ტილოებისთვის და კვლავ დამტკბარიყვნენ უნიკალური „პროფილის“ მშენებით.

სალამოს, როცა ხალხი დარბაზიდან გაიკრიფა და ვაჟა სალონის მუშების დახმარებით სპეციალურ სატირთო მანქანაში აწყობდა თავის ნახატებს, ელდანაკრავივით გაშემდა: „პროფილი“ რამდენიმე ადგილას ბასრი დანით იყო დასერილი. ამ ვანდალურმა ბოროტებამ ყველა შეძრა. მთელი სალონი ფეხზე დადგა; დაიკითხა „ქარვასლას“ პერსონალი, მაგრამ ამოდ — დამნაშავეს კვალს ვერ მიაგნეს... ადმინისტრატორმა ეჭვი გამოთქვა, ვილაც შურიანმა მხატვარმა ხომ არ დაასახიჩრა „პროფილი“, როცა სალამოთი, გალერეაში ხალხი შეთხელდაო, მაგრამ ვაჟამ ეს ვერსია უარყო, რადგან თავისი უმნიველო ცხოვრების მანძილზე მოშურნენი არ ჰყოლია...

საგონებელში ჩავრადნილ ვაჟას ფიქრებში ამოტივტივდა ნატოს მრისხანე დაქადნება — „განანებო“, მაგრამ ნატო ხომ მასთან უსიამოვნების შემდეგ მალევე გაემგზავრა იტალიაში ბედის საძიებლად; ორი თვის წინ მოკითხვის ბართიცი კი გამოუგზავნა — ერთ მდიდარ ოჯახში მოხუც ქალს ვუვლი თვეში ათასი ევროს საფასურადო...

ნუთუ, დიანა?..
 ვაჟას გაახსენდა, რომ ზოგჯერ გამოფენას მალალი, ფართოშლაპიანი ქალბატონი სტუმრობდა; იგი, ჩაფიქრებული, დიდხანს ჩერდებოდა „პროფილთან“ და როგორც მხატვარს მოეჩვენა, მალულად ინმენდა ცრემლებს ბატისტის ცხვირსახოციტო...

ვაჟამ გადაწყვიტა დიანა მოენახულებინა და ცირკისკენ გაემართა. ტროტუარზე მდგომი მსუბუქი ყოფაქცევის ქალები მზეს ეფიცებოდნენ.

— მე ხომ არ მეძებ, მზეჭაბუკო? — მიუახლოვდა მას ფერუმარლით სახეშეგლეხილი, ტანსრული მუცავი, თვალები პროფესიულად მიზნიდა, ტუჩებზე „ჰოლივუდური ღიმილი“ გამოისახა და მანქანის კარს დაუჯაჯგურა.

ვაჟამ სარკმელი ჩამოსწია: შეგიძლია, დიანას დაუძახო? რომელ დიანას? მალალი ქალია, იისთვალეა, ქერათმიანი, ლამაზი...

აქ ყველა ლამაზები ვართ! — ცხენივით აჭიხვინდა მუცავი, — რაი, ლოგინში ვნებიანი იყო შენი დიანა?! არც ჩვენ ვართ ნაკლები! არ მეზუმრება! — უხეშად შეანყვეტინა ვაჟამ, — მომიძებნე, თუ შეიძლება, დიანა.

ლამაზმანი?
 არა, დიანა.
 „ლამაზმანი“ მისი თიკუნია, მეტსახელი. გოგოებმა შევარქვით. — აკიკინდა ქალი. — უნდა გაგანბილო, ჯგვარო, გაფრინდა შენი დიანა.

ვათხოვდა?
 ვათხოვდა კი არა!... ღვთისმოსაობაში გადავარდა; ალბათ ცოდვების მოსანანიებლად, შუამთის დედათა მონასტერში აღიკვეცა მონაზვნად. ასე არ არის, გოგოებო? — გაძახა მან თავის მეგობრებს. — ლამაზმან დიანას კითხულხოს.

„კოლეგებმა“ დაუდასტურეს ვაჟას მათთვის არცთუ ახალი ამბავი.
 დიდი ხანია? — ჩანყვეტილი ხმით იკითხა მხატვარმა.

ბარემ ოთხი თვეც იქნება გასული. — მიუგო ქალმა. — ჰა, მიგყავარ, თუ არა? გამილე მანქანის კარი... ვაჟამ მღელვარებისგან მკერდზე მიიღო ხელი, რათა აძგერებული გულის მძლავრი ფეთქვა შეეჩერებინა, „მერსედესი“ მოსხლიტა და იქაურობას გაეცალა.

„ოთხი თვე, ოთხი თვე...“ — იმეორებდა ჩუმად დიანას გადაწყვეტილებით ამაყი, მაგრამ მაინც გულმოკლული მხატვარი. — „ოთხი თვე ხომ იმ დროს ემთხვევა, როცა იგი ჩემგან წავიდა...“

ვაჟას თვალწინ წარმოუდგა წარმტაცი დიანა, თავისი გრაციოზული მანერებით; უნებურად იგრძნო იების უცხო სურნელი და ნეტარების ღიმილი გადაეფინა.

„ვერ დავაფასე, აქამდე არც მოვიკითხე“. — სინდისი ქენჯნიდა ახალგაზრდა მხატვარს. ამ ფიქრებით აირბინა სახლის კიბეები, სწრაფი ნაბიჯით შევიდა სახელოსნოში, დიანას წყალობით შემორჩენილი ესკიზები მოძებნა და ვილაც გარეწრის მიერ შებღალული „პროფილის“ აღდგენას შეუდგა. მოზღვავებულ ენერგიას გრძნობდა ხელოვანი, შინაგანად მხოლოდ ერთი სურვილია მოძრავება — დროზე აღედგინა ნახატი; ხოლო თავისი პერსონალური გამოფენიდან მიღებული მთელი თანხა შეენიარა შუამთის დედათა მონასტრისთვის და ამით მაინც გადაეხადა მოკრძალებული მადლობა პირმშენიერი დიანასთვის, რომლის წუთიერმა გამოჩენამ, მის ცხოვრებას სულ სხვა ხიბლი შესძინა — დაუეწყარი ტილო შეაქმნევინა და საყოველთაო აღიარება მოუტანა.

ამირან შალიკაშვილი

ბატონ რევაზ მიშველაძეს (ექსპრომტი)

გილოცავ ბედობას, დიდებულ მწერლობას თავს რომ არ უყადრებ მავანთა ყბედობას. დიდ ფიქრს და დიდ შრომას, ცრემლიან გოდებას რომ ახმარ შენს მამულს

ლაგვიანახელი ჩვენი მიღოცვა რევაზ მიშველაძეს

მას ყველა იცნობს და დავიმონმებ პოეტ ნაირა ნიჟარაძის სიტყვებს, რომ ის მართლაც არის ქართული სიტყვის რაინდი. ბატონი რევაზი ყოველთვის ამშვენებდა ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტს და ახლაც ასეა, იმიტომ რომ ახალგაზრდა თითქმის თავის ტოლ-სტუდენტების მეგობარი, ჭირსა და ლხინში მათთან იყო და ამხნევებდა, ეხმარებოდა. როგორ დამავინყდება, რომ ჩვენ პირველკურსელები ნავიყვანა და გვაჩვენა კოლხური კომპი, გვაზიარა დიდი კონსტანტინეს შემოქმედებას. როგორ შეიძლება იმის დავინყება, რომ პრეზიდენტს, პირში უთხრა, ინგილო ქართველები იჩაგრებიან, რომ ჩამორთმეული აქვთ ქართული გვარები, არ აძლევენ შებას სრისტიანულ ტაძარში ილოცონ, კიდევ სხვა პრობლემები, რომლებიც დღესაც არ არის მოგვარებული. როგორც მწერალმა და პოლიტიკოსმა ზარები დაარისხა და ახლაც არისხებს ყველა იმ უბედურებაზე, რაც ნაცმოდრობამ სა-

და არა ჭივჭავთა მიდება — მოდებას. უმლერი გაზაფხულს და ვარდთა ვარდობას. ტკივილს და მშობლის დარდს ნანამებ ცრემლიანს... გილოცავ ახალ ხელს და სახალხო მწერლის უმაღლეს ნოდებას. გილოცავ ამ ზამთარს, უცოდველს, თოვლიანს, გისურვებ დღეიდან ასწლიან ცხოვრებას.

ქართველოს მოუტანა. სწორედ ამ არასახსენებლემა და მათმა დამქაშებმა დაღუპეს ათასობით ქართველი, ციხეებში გამოკეტეს ქართველობა და უფრო ბევრი საზღვარგარეთ გააქციეს. მათ სინდისზეა რეზოს შვილის ტრაგედია, რომელიც ჩვენიც არის და ეს დიდი ქართველი, რომელსაც ყველა ტკივილი ღირსეულად გადაიტანა დღეს ხალხის წინა დგას და იბრძვის ყველა მანკიერების აღმოფხვრისათვის. ბატონი რეზო სამაჩაბლოს დიდი გულშემატკივარია, ბევრი მეგობარი ჰყავს ჩვენში და ჩვენ მოვალენი ვართ მის დიდ შემოქმედებაზე ვისწავლოთ. ბატონო რეზო წინ დიდი გზაა, გულით გილოცავთ საიუბილეო თარიღს.

ნიკოლოზ ოთანაშვილი, საქართველოს მწერალთა კავშირის ცხინვალის რეგიონის პასუხისმგებელი მდივანი

პასუხი

გაქრა, ნავიდა. გულში სევდა, ფიქრში ნალველი დავგიტოვა. და კიდევ ბევრი პასუხგაუცემელი შეკითხვები. რად ენამა ასე? რად გასწირა ყველა და ყველაფერი პოეზიის ტრფობით? თუმცა რა, მხოლოდ პირადი კეთილდღეობა გასწირა, თორემ სხვაფრივ ცოტა მოიძებნებოდა თავისი ქვეყნის ასეთი ერთგული პატრიოტი და მოქალაქე. გარეგნობითაც და რაც მთავარია სულით ვაჟაკი მტკიცედ დააბიჯებდა თბილისის ქუჩებში, მუდმივად დასტრიალებდა მის საყვარელ რუსთაველის პროსპექტს. მერე რა, რომ ზოგჯერ რამდენიმე დღის უჭმელი იყო, მერე რა, რომ სახლში არც გათბობა ჰქონდა, არც ბუნებრივი აირი და არც წყალი. სამაგიეროდ თვითონაც და მისი ბინაც ბოჰემური თავისუფლებით სუნთქავდა, სინდისდებდა და შთაგონების მადლით იყო გაჟღენთილი, პოეტური მედიტაციის სინათლით იყო გაბრწყინებული. ლექსების რამდენიმე კრებული დავგიტოვა, რომლებსაც არც პრეზენტაცია ღირსებით და არც პრესის გამოხმაურება. მაგრამ თვალის უბრალო გადავლებითაც კი ადვილად მოჩანს პოეტური აზროვნების მალალი

დონე და წერის დახვეწილი კულტურა. ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული მისი ლექსები და პოემები უმაღლესობდა მკითხველის ყურადღებას პოეტური სიფაქიზით, ბუნებრივობით, სიალაღით და აღმაფრენით. მის შემოქმედებაში სამოქალაქო, პატრიოტული, ფილოსოფიური და სატრფიალო ღირსება ერთმანეთთან იმდენად მჭიდროდ იყო დაკავშირებული, რომ რთული იყო რომელიმე მათგანისთვის უპირატესობის მინიჭება. მეორეს მხრივ, კრისტალურად წმინდა სულის პატრონს აზრადაც არ მოსდიოდა მათი ერთმანეთისგან დაშორიმორება. ან კი ვის გაუყვია და დაუშორიმორებია პატრიოტი და ფილოსოფოსი, მოქალაქე და შეყვარებული... ამაყი იყო, გაჭირვების მიმართ შეუდრეკელი. არასოდეს უკადრია რაიმე კომპრომისზე წასვლა. უბრალო დახმარება რაა, ისიც კი არ მოსთხოვა სახელმწიფოს. საქართველოში დაწერო ლექსი — არ არის რთული. მაგრამ იცხოვრო როგორც პოეტმა — რთულზე რთულია. პოეტის ბიოგრაფია თავად არის პოემა, ნამებით და სისხლით დაწერილი. აქ ვერ მოიტყუები... რამინ ამონაშვილი... თბილისის ქუჩებში პოეტი დადიოდა.

მერაბ გვირა



სოსო სიგუა

ქრისტიანული ასკეტიზმის ესთეტიკას, ჯვარცმულისა და ჯვარის გარშემო განლაგებულ წარმოდგენებს, ინსტიტუტზე გონის გაბატონებას მოჰყვა ზნეობრივი პროგრესი და რევრენციული ხელოვნების სფეროში.

ბერძნულ-რომაული კულტურის რეფორმირებას, მის ქრისტიანიზებას რამდენიმე საუკუნე დასჭირდა. ქართულს ასეთი დიდი ტრადიციები არ გააჩნდა.

მოთხოვნილება და სიტუაცია

საქართველოს ტერიტორიაზე თუ მის ფარგლებს გარეთ ნაპოვინა უძველესი ქვებზე ამოკანრული ნიშნები, შემდეგი დროის ნახატის მსგავსი გამოსახულებანი, არსებობს ბერძენ ავტორთა (მაგ., აპოლონიოს როდოსელის) ცნობები კოლხური კვირბების შესახებ, ლეონტი მროველის სახელდება ფარნავაზ მეფისა ქართული დამწერლობის შემქმნელად.

არსებობს ცალკეული მკვლევარების ჰიპოთეზები და თეორიები (მაგ., ივ. ჯავახიშვილის, პ. ინგოროვასი, რ. პატარიძის, ლ. ჭილაშვილის). შეიძლება ქურუმთა წრეში არსებობდა ქართული ანბანის შექმნის ცდებიც. მაგრამ V საუკუნემდელი მოღწეულია მხოლოდ ბერძნული და არამეულ-არამაზული წარწერები.

ამ ენებით სარგებლობდა არისტოკრატთა და ქურუმთა კასტა. უცხო ღმერთების მალარებელთა და მშობლიურ მიწაზე დამამკვიდრებელთა წინაშე არ დამდგარა აგრეთვე მკვეთრი გამიჯვნის, მითუმეტეს – დაპირისპირების შესაძლებლობა, რომ შემოეღოთ თავიანთი ანბანი და დამწერლობა. რომც შეექმნათ – არ გავრცელდებოდა (მდრ. მაგ., ესპერანტოს ბედი).

ასეთი აუცილებლობა, შესაბამისი პოლიტიკურ-კულტურული სიტუაცია წარმოიშვა მხოლოდ და მხოლოდ ქრისტიანობის მიღებასა და გავრცელების შემდეგ, როგორც დამოუკიდებლად ყოფნის სიმბოლო და საშუალება, როგორც ეროვნული თვითშეგნების არსებითი ნიშანი.

სიკვდილის წინ მირიან მეფეს „ნიგნი“ დაუწერია მთავარეპისკოპოს იაკობის ხელით, სადაც მსჯელობს თავის დამსახურებაზე ქრისტეს წინაშე და ძველი კერპების „ცეცხლით“ მოსაპობაზე („მოქცევაჲ ქართლისაჲ“). ბერძენი მღვდელმთავარი მეფის სიტყვას იმ ენაზე ჩაიწერდა, რომლითაც მიჰყავდა ღვთისმსახურება ანუ ბერძნულად. ქართული დამწერლობა რომ არსებულიყო, მირიანი თავად დაწერდა ან რომელიმე ქართველ ეპისკოპოსს უკარნახებდა. ქრისტიანობა წიგნზე დაფუძნებული რელიგია და სადაც შედიოდა, ყველგან უპოვნდა წიგნი და საკითხავები და იცავდა ბერძნული (დასავლეთში – ლათინური) ენის პრიორიტეტს.

როცა ეპისკოპოსმა ვულფილამ (318–388) შექმნა გოთური ანბანი – თარგმნა ბიბლია; როცა კირილემ და მეთოდემ შეადგინეს სლავური კირილიცა და გლაგოლიცა (IX ს.), ასევე ხელი მოკიდეს ბიბლიას, რადგან ბიბლია არის ქრისტიანისათვის უპირველესი, წმინდა წიგნი.

ეგზეგეტიკურ-თეოლოგიური კომენტარება, გაცნობა მრველისათვის. ალბათ ბიბლიის, კერძოდ – სახარებისა და ფსალმუნების გადმოღების აუცილებლობას გრძობდნენ ღვთისმსახურები.

ანბანმეოქმედისათვის, რომელიც უეჭველად ღმერთმსახური იქნებოდა, შეიძლება – ეპისკოპოსი, ეს ნიშნავდა ყველაზე დიდი ოცნების აღსრულებას.

მოთხოვნილება და სიტუაცია განსაზღვრავს ფაქტის რეალიზებას. ასეთი კონკრეტული ვითარება შეიქმნა შაჰ ივხდიგერდ პირველის (399–421) მმართველობის დროს (იხ. „რელიგიური რყევა იბერიაში“): ირანს, რომელსაც დაუსრულებელი ომები ჰქონდა რომის იმპერიასთან, უნდოდა, რომ არა მხოლოდ იარაღის, არამედ – რწმენის ძალითაც ჩამოეცილებინა კავკასია და წინა აზია დასავლური სამყაროსაგან.

ქრისტიანობა ძალიან გავრცელდა და ხალხებში პოპულარული იყო, მათგან – სპარსელთა შორისაც. მკვეთრ დაპირისპირებას, როგორც ვთქვით, ირანმა არჩია სექტანტ-მწვალებელთა მხარდაჭერა, ენობრივად, ლიტურგიულად და დამწერლობით კავშირის განწყვეტა ბერძნებთან და ბერძნულ ეკლესიასთან. მოტივი – ღმერთი ყველას თავის ენაზე უნდა ედღებინა.

ქრისტესმთავარი ძმობა და თანასწორობა ენათა და ხალხთა თანასწორობასაც ნიშნავდა.

შაჰთუღი მწვალების

ამისათვის საუკეთესო ხერხი იყო, რომ აღმოსავლეთის ქვეყნებს ჰქონოდათ თავიანთი ანბანი და დამწერლობა, თავიანთ ენაზე გადაეთარგმნათ ბიბლიური და საღვთისმეტყველო წიგნები (მდრ – სოხუმის ხელოსუფლების ცდა, რომ გალელეები დაენერონ მეგრულად და შექმნან მეგრული დამწერლობა, რუსეთის „მფარველობა“ მცირე ერებისადმი – თითქოსდა სამართლიანობის სახელით).

ეს უეჭველად გამოიწვევდა რომაელთა უკმაყოფილებას, ხელს შეუწყობდა დისტანცირებას ბერძენთაგან და შეიძლება დაპირისპირებაც ეცუულიყო.

ასე აუშენდრა იეზიდგერდმა ქრისტიანები, აღმოსავლეთის ეკლესიები ბიზანტიას, პირველ რიგში – ასურული და სომხური.

ბერძნული ანბანი – ასომთავრულის პროტოტიპი

ევროპაში ანბანი ჰქონდათ ბერძნებსა და ლათინებს.

მათ ეს კულტურული ტრადიცია აღმოსავლეთისაგან შეითვისეს.

ასომთავრულობის უძველესი ნიმუშია ჩრდილო სემიტური წერილი სისტემა, კონსონანტიური დამწერლობა (თამაზ გამყრელიძე).

იგი შეიქმნა ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისში.

განასხვავებენ სამ ქვეტიპს. ესენია – ფინიკური, ქანაანური და არამეული. გრაფიკულად სამივე ერთნაირია, ლურსმულის მსგავსი.

მანამდე არსებობდა იეროგლიფური და ლურსმული დამწერლობები.




ფინიკელებიც ბერძნების მსგავსად აარსებდნენ ზღვისპირა კოლონიებს და ანბანის კულტურა შეჰქონდათ სხვადასხვა ხალხებში.

ფართოდ გავრცელდა არამეული დამწერლობა, მათ შორის – იბერიაშიც.

არამეულიდან გამოდის – ებრაული კვადრატული დამწერლობა, პალმირული, სირიული, ნაბატეურ-არაბული, ირანული (ფარსული, ფალაური), არმაზული.

გრაფიკულ ნიშანთა მოწესრიგებას, მათ დალაგებას საფუძვლად დაედო ფონეტიკური პრინციპი.

ამ სისტემის პროტოტიპი იყო ეგვიპტური ჰიეროგლიფიკა.

ბგერის გრაფიკული გამოსახულება არის ასო. ხოლო იეროგლიფი საგნის ნახატი იყო. მაგ., ეგვიპტურად თვალი – , პირი – , სახლი –  (თ. გამყრელიძე).

ასოს კი რიცხვითი მნიშვნელობა გააჩნია (გემეტრია) და ასოცირდება ზოდიაქოსთან, ასტროლოგიურ სამყაროსთან, სხეულის ნაწილებთან.

იზოსფისიურად სიტყვა არის რიცხვი (მაგ., აპოკალიფსში ქრისტეს შეესატყვისება ალფა და ომეგა, რაც ნიშნავს პირველსა და

უკანასკნელს ბერძნული ანბანთრიგით). ბერძნულ ანბანს წინ უსწრებს კრეტა-მიკენური (B ხაზოვანი) დამწერლობა, მესრულეებელი ძვ. წ. II ათასწლეულის შუა წლებში. ძველი ბერძნული ანბანი ყალიბდება VIII-VII ს. ს.

ანტიკური ტრადიციით იგი მოდის ფინიკურისაგან, ფინიკელები კადმოსისაგან, რომლის სახელზეც დედოსში სამისნო ააგეს.

თავიდან ბერძნულშიც მარჯვნიდან მარცხნივ იწერებოდა. ხმოვანს ნიშანი არ ჰქონდა და იგი ბერძნებმა შემოიღეს.

ასონიშანს ზუსტად უნდა გამოეხატა კონკრეტული ენის ფონეტიკური ნიუანსები. ამიტომ ყოველ ენას შეჰქონდა თავისი სპეციფიკა ანბანის სისტემაში, რომელსაც სათავისოდ აქცევდნენ.

მთავარი იყო მოხაზულობა, გრაფიკა. სიმბოლოები კორექტირების დროს უნდა შეეთანაყო ქურუმებს, რათა ანბანის ღვთაებრივი ნარმოძველობა აეხსნათ.

ბერძნული ანბანიდან განვითარდა იტალიკური, შემდეგ – არქაული და კლასიკური ლათინური.

გოთი ეპისკოპოსი ვულფილა უარყოფს წარმართულ რუნულ დამწერლობას და ბერძნულის მიხედვით ქმნის გოთურ ანბანს.

გოთურში ყოველ ასოს მიეცა სიტყვიერი შესატყვისი. მაგ., F – ქონება, S – მზე, M – კაცი, D – დღე.

აღმოსავლეთში ბერძნულის მიხედვით ყალიბდება კოპტური, სომხური, ალბანური და ქართული ანბანთსისტემები.

ქართული ანბანური სისტემა სამი ტიპისგან შედგება და გამოხატავს ევოლუციის სტადიებს:

- 1. ასომთავრული (მრგვლოვანი);
2. ნუსხური (კუთხოვანი);
3. მხედრული.

ასომთავრულით არის შესრულებული ბოლნისის, უკანგორის, მცხეთის ჯვრის, ნუკრესის, ზნაუკის, პალესტინის წმ. თეოდორეს მონასტრის, წყისეს, ატენის სიონის წარწერები.

მათგან უძველესია ბოლნისის სიონის წარწერა (494 წ.), რომელიც გვაუწყებს ტაძრის აშენების დროს.

ერთხანს, გიორგი წერეთლის გავლენით, უპირატესობას ანიჭებდნენ პალესტინურ, იორდანის უდაბნოს ქართული მონასტრის წარწერებს, მარუანის (პეტრე იბერი) და ბაკურის სახელებს.

ამჟამად მათ უფრო VI საუკუნის დასაწყისის განაკუთვნიებენ, როგორც მაშინვე დათარიღა მ. თარხნიშვილმა.

ასომთავრულის გრაფიკას ქმნის კვადრატში ჩასმული გეომეტრიული ფიგურები – სწორი ხაზი, წრეხაზი, ნახევარწრეხაზი, რომელთა ზუსტი მოხაზულობა ანბანს ანიჭებს მონუმენტურ, პათეტიკურ, საზეიმოდ განსაკუთრებულ სტილს. იგი თითქოს გამოკვეთილია და არა დაწერილი.

ასომთავრულით გეომეტრიულ სტრუქტურას ჰქონდა სიმბოლურ-მისტიკური მნიშვნელობა (რ. პატარიძე, თ. ჩხენკელი). იგი ენათესავება უძველეს ორნამენტებს, რაც ასტრალური სამყაროს გრაფიკული სიმბოლო იყო.

საიდუმლო დამწერლობის – კრიპტოგრაფიის (იზოსფისია და გემეტრია) შორეული სათავე იყო, ისევე როგორც მხატვრული აზროვნებისა, ტაბუირების არქაული სისტემა.

ქართული ანბანის დასაწყისზე და წარმომავლობაზე მსჯელობენ ასომთავრულის მიხედვით. მისგან VIII საუკუნიდან ვითარდება კუთხოვანი, რომელიც სომხურ ანბანს ჩამოჰყავს.

864 წლის სინური მრავალთავი მთლიანად მრგვლოვანი არის გადაწერილი, ხოლო ანდერძი – კუთხოვანი. კუთხოვანი ისე გავრცელდა, რომ XII საუკუნეში გამოცდილ კალიგრაფებსაც კი უჭირდათ ასომთავრულით ნაწერის კითხვა.

XI საუკუნეში კუთხოვანიდან იშვა მხედრული, თანამედროვე ქართული ანბანი. მოგვიანებით, XVII-XVIII საუკუნეებში კუთხოვანის კითხვაც გასძნელებიან და სახარებასაც მხედრულით გადაწერდნენ ხოლმე.

ასომთავრულში დაცულია ბერძნულში მიღებული ასოთა რიცხვითი მნიშვნელობა, რიცხვნიშანთა ოცობითი და ათობითი სისტემები, სემიტურის საპირისპირო მარცხნიდან მარჯვნივ წერის წესი.

რიცხვითი ნიშნები გამოხატავენ ერთე-

ულებს, ათეულებსა და ასეულებს, როგორც ბერძნულში. ხოლო სემიტურთან მსგავსება შეინიშნება იმდენად, რამდენადაც თავად ბერძნული მოდის სემიტურიდან, ე. ი. სემიტური ქართული ანბანის პაპაა.

ბერძნულის მსგავსად ქართული ანბანი შეიცავს ხმოვნებს. ანბანთრიგიც ბერძნულს მისდევს. ცალკეული ასონიშნები ქრისტიანული დროისაა:

ⴗ (ქ) არის ქრისტეს აკროფონიული ნიშანი (ზ. სარჯველაძე). მასვე ჰგავს ⴚ (ჯ - ჯვარი).

ბერძნულია დამწერლობასთან დაკავშირებული ლექსიკა – კალამი, მელანი, ქარტა, ეტრატი (დ. ბაქრაძე, კ. კეკელიძე, მ. სურგულაძე). ლათინურ-ბერძნულია ნიგნი – Signum, რაც ნიშნავდა ნაწერს, მაგ., ეპისტოლეს (მდრ – „ნიგნი ტარიელისა“).

ასევე ბერძნულია პაპირუსი (ჭილი), პერგამენტი (მცირე აზიის ქალაქ პერგამონიდან), ეპისტოლე, სტიქონი/სტრიქონი, ტომარი (ნიგნის ნაკვეთი), არაბულია ქალაქი/ქალაქი, ნუსხა.

ქართულია წერა, რაც წვეტიანი იარაღით მინის დამუშავებას ნიშნავდა (მდრ – წერაქვი).

საწერელი იარაღი ძირითადად ლერწმის ჩხირი იყო ჩვენთანაც.

ი. ჯავახიშვილი მიიჩნევდა, რომ ქართული ანბანი შექმნილია წარმართულ ხანაში, ძვ. წ. VII საუკუნეში და მომდინარეობს არამეული-

საგან. იგი ანბანის შექმნას უკავშირებდა ქართული ტომების მიგრაციას მცირე აზიიდან კავკასიაში.

რ. პატარიძე ავითარებს და აზუსტებს ივ. ჯავახიშვილის კონცეფციას და მას უკავშირებს ქურუმების მისტიკურ და სიმბოლურ აზროვნებას.

გ. წერეთელმა როგორც ასომთავრულის, ისე არმაზულის წყაროდ ჩათვალა არამეული.

პ. ინგოროვას ქართული ანბანის შემოქმედად მიაჩნდა მითა მესხი – მოსხების უკანასკნელი მეფე ფრიგიაში (ძვ. წ. VII ს.).

მასვე სახელებდა ქურუმთა იმ კომისიის წევრად, რომელმაც მოახდინა ფინიკური ანბანის ბერძნული მოდერნიზაცია.

ქართულის პროტოტიპად მიიჩნევენ ძველ ბერძნულს ვ. გარდტჰაუზენი, ა. მანიძე, კ. კეკელიძე, ე. მაჭავარიანი, თ. გამყრელიძე, თ. ჩხენკელი, რაც სწორად მიგვაჩნია.

მათი აზრით, ქართული ანბანი შეიქმნა ქრისტიანობის მიღების შემდეგ.

ანბანი და კომისია

ძველი სომხური ანბანი (ერკათაგირი) ბგერითი სისტემის ანალიზის საფუძველზე შექმნა მესროპ მამტოცმა 405–406 წლებში, მისი მონაფის კორიუნის ცნობით, ქართული და ალბანურიც.

მანვე მოწაფებთან ერთად ასურულიდან დაიწყო ბიბლიის თარგმნა.

თ. გამყრელიძე ფორემური სისტემის ანალიზით ამტკიცებს, რომ ქართული ანბანი სომხურისაგან სავსებით დამოუკიდებლად ჩამოყალიბდა.

ქართული ანბანის შემოქმედსაც ღრმად ჰქონია გააზრებული ენის სპეციფიკა, ფონეტიკური ნიუანსები, რასაც ვერ შეძლებდა ქართულის არმცოდნე მამტოცი ან იბერიის ბერძენი მთავარეპისკოპოსი.

ქართული ანბანი ქართველს უნდა შეექმნა.

ანბანმეოქმედს უნდა ჰქონოდა ზუსტი სმენა, შესძლებოდა მეტყველების ბგერითი დანაწევრება და ნიუანსების გრაფიკაში გადატანა.

კ. კეკელიძის აზრით, მესროპ მამტოცი შეიძლება ყოფილიყო ინსტრუქტორი, რომელმაც იბერებს გაუზიარა თავისი გამოცდილება.

თუ გავითვალისწინებთ ირანის პოზიციას, ქართული ეკლესიის დამოკიდებულებას სომხურზე, მაშინ ეს შეხედულება მართებულად უნდა ვცნოთ.

ასეთივე ინსტრუქტორი უნდა ყოფილიყო ბერძენი მთავარეპისკოპოსი სვიმეონ V, როგორც იბერიის ეკლესიის მეთაური, ბერძნული დამწერლობისა და ენის მცოდნე. მაგრამ მთავარი ფიგურა იქნებოდა რომელიმე ქართველი „სჯულის მეცნიერი“.



როსტომ შამუგია

იძ, აფხაზეთში ...

მამაჩემის, ვლადიმერის ნათელ სსოვნას

იქ, ისლიანში ვუმზერდი მთვარეს, არეს იკლებდა ყურშას ყეფანი ...

გავცქერი არეს - უსრულ კაბადონს, თუმცაღა, ცაა - ნისლით ბურვილი;

მამის ეზო და ნკონდა წყურგილი ...

დავნატრი დღეებს - ნაფრენტ იჩქითად, უსასრულოდ და ქორთა სიჩქარით;

იქითკენ ილტვის გონება ჩემი, ვგრძნობ, ფიქრი ესე - სულსაც უხარის,

შემზარავია ეს რეალობა, დამთრგუნველია სულის რხევანი ...

ადგილის დედის მკლავს მონატრება, სისხლის ყოველი წვეთი მავალებს: -

კვლავ იძ, აფხაზეთში ...

ცა არის ლაჟვარდოვანი, მთის თხემი - ლაინისფერი ...

ვუმზერ ზღვის ტალღას - აქოჩრილს, ნიავე მელამუნება ...

უცხო რამ არის ზღვისპირი - სამყარო საოცრებათა, სულის ამნენი, სპეტაკი,

მივაპობ სივრცეს - ლილისფერს, ჯერ ისევ დილაბინდია;

მგონია მეცხრე ცაზე ვარ, მეგზურად მახლავს ნიავე ...

... ო, აფხაზეთი სხვა არი - მთაც, ბარიც - ლაინისფერი,

სანთელს

შენ საქართველოს ჭირისუფალო, ბედნიერი ხარ, წვა შეგიძლია ...

უფლის სასწაული არის: - ინვი, მაგრამ არ ილევნი,

მამული მაქვს ურჯულისგან ნაპარტახალ - ნაოხრები ...

უფლისეულ სამყაროში სუფევს ღმერთის სასოება,

შენს წვას თვალი ამოდ უმზერს სულში შეება მეუფლება,

სასწაული სხვა რაღაა, არ ილევნი, თუმცა, ინვი ...

დედა

არსებობს ორი დრო: - დედის და უდედობის!

ძღვნად დედაჩემს - გულიშა ბეკ-ვერიას, ღვანლმოსილ პედაგოგს,

ჟამი გამირბის ქორის სისწრაფით, /ჟამნი ერთმანეთს საოცრად ჰგვანან/...

... მამა მიღმეთის გამიხდა მკვიდრი, ან, ოდენ სიზმრად ჟამიჟამ ვხედავ ...

უფალო ჩემო! ვარ მადლიერი - მოხუცი კვლავაც თავს რომ გრძნობს მხნედა;

18 აგვისტო, (დედის დაბადების დღე), 2011 წელი.

ქმადნაფიც ნოდარ ჩხვიმიანს

ძღვნად მზიანა, ნაზი, მზევიანარ, მზიური და მზედარ ჩხვიმიანებს ...

შხელდას ბილიკებს მივარღვევ, ქარაფებს ვენდე ნისლიანს ...

ამოვთქვამთ სულის სახმილსა - ნაღდი სვანური რახითა,

კაცობის ტვირთი ზურგზედა, როგორც შულდაკი - გვკიდა;

მამულის მეტრფედ ვრჩებით და - გული კვლავ გულობს კაცურად ...

... ჩვენ კვლავ მიყვებით ურთულეს ცისკენ აღმავალ წარაფებს ...

არ ვეპუებით ხიფათებს, შხარაზე ვხედებით ალიონს,

დავაგუგუნეთ „ლილეო“, თვალი შევავლეთ ქარაფთა,

დიდება უფალს!

კვლავ ვცოცხლობთ, ძმობის საოცარ მადლითა,

უფალო, ჩემო!

ძღვნად ღვანლმოსილ პედაგოგს - ტატიანა გვაძაბიას

დროის ცვლადობას მივდევ ფეხდაფეხ, /ან შემიძლია განა რაიმე?/

ქეშმარიტია და მწამს ურყევად, რომ არ მიშველის „ვიში-ვაიმე!“

ჰე, მაცხოვარო, მომეცი ძალა, რომ მეც დავცალო სავსე ფიალა,

... დიას, უფალო, შენ ძალგის ოდენ, ჟამსამანი რომ უწყალოდ რბოდეს ...

ალექსანდრე ყაზბეგის და ვაჟა-ფშაველას შედეგრთა კითხვისას ...

ბურსაჭირის ფერდობზე ავაჩქარე იაბო,

სხვანაც ბევრი დავლანდე - ციკვაც იყო - ცდოელი,

აქვე ვნახე ჯათია, ელგუჯა და მზალოცა,

ბურსაჭირის ბექობზე მათზე ფიქრმა დამლაღა,

ბახტრიონის სანახებს მზემან შემოანათა ...

ნაღვარევის აღმართზე - მთვარე ისევ კიაფობს;

შატილს ყოფნისას

ბატონ ალექსი არაბულს

მირონო, ზეცით მდინარო, ჩემ მამულს გადმოესხურე;

უმრავლე ხვასტაგ-დოვლათი სახლში ბარაქა და ჯანი ...

მგონი, მირონი ზეციდან ჩემ მამულს გადმოესხურა ...

რომ უფრო მძაფრად შევიგრძნოთ, მთის სილაღე და სურნელი ...

ამადაც ერთი სული მაქვს - შატილს ვენვიო სხვა დროსაც ...

პრეზენტაცია მწერალთა კავშირში



ლილა გეროშვილი



თანამედროვე ქართულმა მწერლობამ მტკიცებულება დასწავლა...

ლილა გეროშვილი ქართველ მწერალთა იმ მცირერიცხოვან ჯგუფს...

ლილა გეროშვილი დაიბადა 1949 წლის 1 მაისს ყვარლის რაიონის სოფელ ახალსოფელში...

უმალესი განათლების მიღების შემდეგ ლილა გეროშვილი სხვადასხვა დროს მუშაობდა კინოსტუდია „ქართული ფილმის“ რედაქტორად...

ლილა გეროშვილმა პირველი ნაბიჯები სამწერლო ასპარეზზე 1973 წელს გადადგა...

მას შემდეგ ლილა გეროშვილის მოთხოვნები, პიესები, კინოსცენარები პერიოდულად ქვეყნდებოდა...

ქართველი მკითხველი მონონებით შეხვდა ლილა გეროშვილის ისეთ პროზაულ კრებულებს, როგორიცაა „გზა ჩემი სახლიდან შენამდე“...

თავბრუნდამხვევი სილაღე და მშვენიერება... ლილა გეროშვილის მწერლობა...

მისი პიესა „ზამთარი“ დიდი წარმატებით დაიდგა მეტეხის სახელმწიფო თეატრში.

1980 წელს ლილა გეროშვილის კინოსცენარის მიხედვით გიორგი შენგელაიამ და მიხეილ ჭიაურელმა...

რა დასაბანი, რომ ვეთხოვებით ასეთი მაღალი რანგის შემოქმედს...

ჩვენს ხსოვნაში დიდხანს დარჩება სატეხა მშვენიერი მწერლისა და მანდილოსნისა.

საქართველოს მწერალთა კავშირი


მზია ხეთაგური

თეატრული... მარტყოფი ჩემი ძვირფასი ლილა გეროშვილის ხსოვნას

თეატრული... რას გერჩოდა, როცა მალე აპირებდი, დასწრებოდი მარტის ნირვებს...

თეატრული... ნუთუ ჩადგა ხეში წყალი? „სიყვარული ყველას უნდა“ - ისმის კრძალვით...

დავით კახაბერი



ქართულმა სამწერლო ოჯახმა მძიმე დანაკლისი განიცადა.

დავით კახაბერი დაიბადა 1946 წლის 11 ივლისს გურჯაანის რაიონის სოფელ გურჯაანში.

დავით კახაბერი დაიბადა 1946 წლის 11 ივლისს გურჯაანის რაიონის სოფელ გურჯაანში.

როგორც კიხანაძე

გარდაიცვალა მწერალი და საზოგადო მოღვაწე რობერტ კიხანაძე.

რობერტ კიხანაძის მწერლობა დაიბადა 1933 წლის 17 ნოემბერს თბილისში.

მას შემდეგ რობერტ კიხანაძე მუშაობდა გაზეთ „თბილისის“ ლიტმუშაკად.

საქართველოს მწერალთა კავშირი და „მწერლის გაზეთი“ თანაუგრძობენ პოეტ ბელა ქებურიას მამის გორა ძაბურიას გარდაცვალები გამო.

მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების რეფერენტად...

დავით კახაბერის სამწერლო დებიუტი 1976 წელს შედგა, როდესაც ჟურნალ „საქართველოს ქალში“ გამოქვეყნდა ანდრეო მორუას მოთხრობა „სეზონის ყვავილები“...

მას შემდეგ ქართველი მკითხველი, გემოვნებიანი და მომთხროვნი მკითხველი, დიდი ინტერესით ეცნობოდა დიდი ფრანგული მწერლობის აღიარებული დიდოსტატების შემოქმედების დავით კახაბერისეულ ისეთ თარგმანებს...

საქართველოს მწერალთა კავშირი



სამეცნიერო მეთოდური ცენტრის საგამომცემლო განყოფილების გამგედ, დამოუკიდებელ უნივერსიტეტ „ალმაშენების“ რექტორად.

საქართველოს მწერალთა კავშირი და „მწერლის გაზეთი“ თანაუგრძობენ ცხინვალის თეატრის მსახიობს რამაზ ხომასურიძეს მამის ჯაბა (ჯამბაშვილი) ხომასურიძის გარდაცვალების გამო.

გამოვიდნენ: აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარე, ვახტანგ ყოლბაია, მწერალთა კავშირის თანათავმჯდომარეები...

დასასრულს იროდი ასანაშვილმა მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას და ისაუბრა სამომავლო გეგმებზე.

დავით კახაბერს მინიჭებული ჰქონდა ივანე მაჩაბლის სახელობის იური (ორგზის), დაჯილდოებული იყო ღირსების ორდენითა და მედლით.

ქართველი მწერლები გულისტკივლით ემშვიდობებიან დავით კახაბერს, შემოქმედებითი სიმნიფის ასაკში მყოფ მთარგმნელს, რომელსაც კიდევ არაერთი ბრწყინვალე თარგმანი შეუძლია ქართველი მკითხველის გახარება.

საქართველოს მწერალთა კავშირი

ტეს ხატი, „მეცამეტე“, „თბილისური მოთხრობები“, „კაცი-დეკრეტული შევლებების ტყვეობაში“, „ოქროს ვარსკვლავიანი ქალიშვილი“...

რობერტ კიხანაძე დაჯილდოებული იყო ღირსების ორდენით, იაკობ გოგებაშვილის სახელობის საიუბილეო მედლით, შრომის ვეტერანის მედლით.

ქართველი მწერლები დიდხანს ემასოვრებათ რობერტ კიხანაძე, მწერალი, მთარგმნელი და მოქალაქე.

საქართველოს მწერალთა კავშირი

